645
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა



645

82

# საქართველოს ქალი

იანვარი
№ 1 1971 წ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბათუმი. დიდების ობელისკი.

საქართველოში
საბჭოთა
ხელისუფლების
დამყარებისა
და
საქართველოს
კომუნისტური
პარტიის
დაარსების
50
წლისთავისათვის

ნომერი
ეძღვნება
საქართველოს
უმშვენიერეს
კუთხეს
საბჭოთა
აჭარას

ეროვნული ბიბლიოთეკა
195

# მრავალ ახალ წელს!

რევაზ მარგიანი

## ვფიქრობ...

იყო ომი და თოვლის ფანტელი,
სახეში გვცემდა ყინვა მაგარი,
სავსე სიცივით და ჟრუანტელით
იმედს უხმობდა ჩვენი სანგარი.
რომ არ ვთქვა დღეს არ მეპატიება,
არ მოვიგონო, არ მაქვს უფლება,
რაც გამახსენეს იმ წლის ტყვიებმა
და გარდასული ომის ღრუბლებმა:
ჰო, იყო ომი, ომი საზარი.
მისი ხმა მესმის ახლაც შორიდან...
მახსოვს, თუ როგორ შეხვდა სანგარი,
როცა ახალი წელი მოვიდა.
მოვიდა. დავხვდით ჯარისკაცულად,
თითქოს აენთო ცეცხლი ჩამქრალი,
იმ ღამეს ფიქრმა ზღვა გადასცურა
და კვლავ მოძებნა ჩემი სახლკარი.
განა რა გვქონდა ძმებს გასაყოფი,
თოვლი გვებურა ვით ყაბალახი.
და არ გაგვაჩნდა არც ერთს სამყოფი
ცივი პური და ცხელი არაყი.
შევსვით ტკივილის გასაყუჩებლად,
აშკარა გახდა დარდი ფარული,
ერთოლვით წარმოთქვეს ჩვენმა ტუჩებმა:
ღღეგრძელი იყოს ჩვენი მამული!
ვიდრე ცოცხალვარ, ვიდრე მაღელვებს
სიცოცხლე და ხმა არ ჩამიწყდება,
ტყვიით შერუჯულ ძმათა სახელებს
არ დავანებებ გადავიწყებას.
ეს იყო ომში, ქარს და ყინვაში,
რის შემდეგ არსად არ მესვენება,
ვფიქრობ: ბედნიერ ამ წლის წინაშე
საჭირო იყო ეს გახსენება.



ვ. ი. ლენინის მონუმენტი შუახევში

საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერა-
ტურული ჟურნალი „საქართველოს ქალი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი აჭარა

ა. თხილაიშვილი,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის
პირველი მდივანი

მოახლოვდა პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა — სკკპ XXIV ყრილობა. საბჭოთა ადამიანები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ხვდებიან მას.

სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებმა ახალი ენთუზიაზმით აღანთეს მზიური აჭარის მშრომელები, განავითარეს მათი შემოქმედებითი ინიციატივა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. აჭარის მრეწველობამ დიდი ნაბიჯი გადადგა ტექნიკური პროგრესის გზაზე. შექმნილია მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობათა ათობით ახალი მოდელი. მათი უმრავლესობა სამამულო და საზღვარგარეთის საუკეთესო ნიმუშების დონეზე დგას. ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა ქვეყანა, სადაც თავიანთ პროდუქციას გზავნიან ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსაშენი, ელექტრომექანიკური, გემთსაშენი, კოფეინის ქარხნები, ჩაის, ფეხსაცმლის, თამბაქოს ფაბრიკები, ციტრუსკომბინატი და რესპუბლიკის სხვა საწარმოები.

ხუთწლედების მანძილზე მაღალი შედეგებია მოპოვებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საგრძნობლად ამაღლდა წარმოების ეფექტურობა, კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 1965 წელთან შედარებით, 1969 წელს — 24 მილიონ 43 ათასი მანეთიდან 30 მილიონამდე, ანუ თითქმის 25 პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდში კოლმეურნეთა გარანტირებული შრომითი ანაზღაურება 23 პროცენტით გადიდდა. ანალოგიური მდგომარეობაა საბჭოთა მეურნეობებშიც.

ეს სასახელო მაჩვენებლები აჭარის მშრომელების თავდადებული შრომითაა მოპოვებული. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღევანდელ აჭარაში შრომის ფრონტზე თავიანთ სიტყვას ამბობენ ჩვენი სახელოვანი ქალები. მათმა მადლიანმა მარჯვენამ რესპუბლიკის გარეთაც გაითქვა სახელი, ამრავლა ჩვენს მიწაზე ხვავი და ბარაქა...

განსაკუთრებით სასიხარულოა მეჩაიეთა წარმატებები. 1966-1969 წლებში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საშუალო წლიური წარმოება 35.550 ტონამდე გაიზარდა, რაც 1961-1965 წლების მაჩვენებლებზე 5.600 ტონით მეტია. შარშან ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა ვადამდე სამი თვით ადრე — 1970 წლის 29 ივნისისათვის შეასრულეს ჩაის კრეფის ხუთწლედის დავალებები — და 181.420 ტონა, ანუ გეგმაზე 16 ათასი ტონით მეტი ძვირფასი ნედლეული მისცეს სამშობლოს.

მნიშვნელოვნად განვითარდა მეციტრუსეობა. ჩვენმა მეციტრუსეებმა ხუთწლედის დავალებებს 39 ათას ტონაზე მეტით გადააჭარბეს.

კარგი წარმატებები ჰქონდათ აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მეთამბაქოეობაშიც. 1969 წელს მეთამბაქოეებმა სამშობლოს 2.210 ტონა ძვირფასი ნედლეული მისცეს, შარშან კი უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის იბრძოდნენ. თავი გამოიჩინეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების მუშაკებმაც. ხუთწლედის ოთხ წელიწადში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 150 ტონა დაფნის ფოთოლი, 240 ტონა ბოსტნეული, 720 ტონა ხორცი, 1.380 ტონა რძე, 2.120 ათასი ცალი კვერცხი, 20 ტონა აბრეშუმის პარკი და სხვა პროდუქტები.

დღითიდღე აუმჯობესებენ თავიანთ შრომით მაჩვენებლებს და ახალ გამარჯვებებს უპატაკებენ სამშობლოს სახელგანთქმული მეჩაიე ქალები — ასმათ ჯიჯავაძე, ემინე ზაქარიაძე, ქეთევან გოგიტიძე, ნარი ბარამიძე, დარეჯან თურმანიძე, ნაზი ფალავანდიშვილი, მეთამბაქოეები — ზულეიხა ფუტკარაძე, ეთერ კონცელიძე, ლუბა შარაძე, ლუთბიე ჩხუბაძე, მუშები — ნაზი სირაბიძე, მერი ცინარიძე და სხვები.

საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეურნეო სამუშაოებზე, ჯანმრთელობის დარგში თავი გამოიჩინეს რენა სარიშვილმა, ლამარა ბოლქვაძემ, გული კიკნაძემ, მარიკა ქორიძემ, მერი გოცირიძემ, ანგელინა გურგენიძემ, გული ცივაძემ, იდა კარბელაშვილმა, ნინო ხახუტაიშვილმა, მერი ახალაძემ, ნადია ბეჟანიძემ, თამარ დობორჯგინიძემ და სხვებმა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დღეს საბჭოთა აჭარის ქარხნებსა და ფაბრიკებში, საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულია 9 ათასი ქალი, მათგან 98 სოციალისტური შრომის გმირია, ხოლო გმირი დედის საპატიო სახელს 307 ქალი ატარებს. საამაყოა ის ფაქტიც, რომ დიდ სამამულო ომში მამებსა და ძმებთან ერთად მტერს ვაჟკაცურად ერკინებოდა აჭარის წარგზავნილი 270 ქალი. მათი უშრეტი ენერგია მშვიდობიანობის დროსაც ხალხის მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნას ემსახურება.

აჭარის შრომისმოყვარე ქალებმა თავი გამოიჩინეს კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროებში. სიყვარული და აღიარება დაიმსახურეს აკადემიკოსმა ქსენია ბახტაძემ, დოცენტებმა: ნადია ჯიბუტმა, ნელი დუმბაძემ, ნადეჟდა საბაშვილმა, მეცნიერებათა კანდიდატებმა — მერი ცინცაძემ და ნანა გუგუნავამ, მსახიობებმა ნუნუ თეთრაძემ და ფატმა კობალაძემ, პოეტმა ნანა გვარიშვილმა...

ხალხის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ენერგიულად ემსახურება სამედიცინო სამსახურში მყოფ ქალთა დიდი არმია. ხალხის სიყვარული მოიპოვეს ექიმებმა: ქეთევან ხორომანსკაიამ, ნათელა შარაშიძემ, ჟალე ჭიჭინაძემ, აბრიზე დიასამიძემ, იდა ნარაკიძემ, ლიდა ტაბაღუამ, ნუნუ ჯიბუტმა, ქსენია კოპლატაძემ, ალექსანდრა მასხულიამ, ლუბა წეროძემ.

ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს წლების განმავლობაში უანგაროდ, თავდადებით ემსახურებიან სახალხო განათლების წარჩინებულები: სემაეთ ვარშანიძე, ჟუჟუნა ინაიშვილი, თამარ მაჭუტაძე, ემინე გაბაიძე, ასიე ავალიანი, შუშანა გუნია, თინა დოჭვირი, ნაზი გოგიტიძე, თამარ დოლიძე, თამარ ჩიქოვანი, ეთერ მეგრელიძე და სხვ.

აჭარელ მშრომელთა სასახელო მიღწევები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ფართო ჩაბმითაა განპირობებული. დღითიდღე საგრძნობლად მაღლდება მათი შრომითი შემართება. არ არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობისა და კულტურის არც ერთი დარგი, რომელშიც აჭარელი ქალი აქტიურად არ მონაწილეობდეს. თავისუფალი ქალის შემოქმედებითმა შრომამ კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახადა მზიური აჭარა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში დიდი გაქანება მიიღო სახალხო განათლებამ. ახლა ჩვენში ხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. ამ მნიშვნელოვან მუშაობაში ქალთა ფართო აქტივია ჩაბმული. 416 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ტექნიკუმსა და ინსტიტუტში ამჟამად 70 ათასზე მეტი კაცი სწავლობს. თანდათან მაღლდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონე.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ავტონომიური რესპუბლიკის მიღწევებმა მაღალი შეფასება მიიღო — საბჭოთა აჭარის დროშაზე ლენინის ორდენი ბრწყინავს. ათასობით მშრომელი, მათ შორის ჩვენი ღვაწლმოსილი ქალები, დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

1970 წელს საბჭოთა ხალხმა, პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა დიადი თარიღი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა და საიუბილეო სიგელებით დაჯილდოვდა აჭარის საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი მოწინავე კოლექტივი, ხოლო მოწინავე ქალებს — მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს გადაეცათ ლენინის საიუბილეო მედლები.

წელს აჭარის მშრომელები დიდი წარმატებით ხვდებიან სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს, აგრეთვე აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ამ თარიღების აღსანიშნავად ყველა შრომითმა კოლექტივმა გადიდებული ვალდებულებები იკისრა, რომლებიც წარმატებით სრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამი აჭარიდან

## ხევის პატარძალი

(შუახევის რაიონი)

ბათუმიდან აჭარის მთებისაკენ მიმავალი გზა მდინარეს მიჰყვება, მასავით იკლაკნება, ვიწროვდება და მზისა და ჰავისაგან ალისფრად, ძოწისფრად, ნარინჯისფრად შეფერილი მცენარეულით ირთვება.

გზა თანდათან მაღლა მიდის და აჭარისწყალი დაბლა რჩება, ძლიერდება მისი ხმაური, ზედაპირზე ქაფს იკიდებს და ვერცხლის ზოლივით იზიმება ვეება ლოდებს შორის. ორივე მხარეს, მარცხნითაც და მარჯვნითაც, მთაზე მერცხლის ბუდესავით ნაგები სოფლებია, საკარმიდამო მიწები სახლებს ნაირფერი ხალიჩებივით გაუშლიათ. ციცაბოებზე, დამრეცებზე მთაში ნაჩვევ ხალხს სიმინდი უთესია, თამბაქო მოუყვანია, კარტოფილი და ვაზი უხარებია.

ან ფეხს როგორ იკიდებენ ამ დაქანებულ ფერდობებზე!

ოდითგანვე მთაში სახლობენ, მთის შვილები არიან და გამვლელ-გამომვლელსაც სალამს მთებიდან უძღვნიან.

აჭარის მთების სილამაზეს სხვა მთები ვერც მიითვისებენ და ვერც დაიკვეხნიან. განუმეორებელნი, ერთადერთნი, თავისთავადნი არიან ეს მთები — კლდოვანიც, მწვანით შემოსილიც, საყანეებითა და სავენახეებით მოჩითულიც, შემოდგომაზე ყველა ფერებით გამაძღარი, გაზაფხულობით სინორჩითა და სიხასხასით აფეთქებული და მოულოდნელობებით სავსე.

პატარძალს ჰგავს შუახევი, მთაში მიმავალ გზაზე ნაშენი თეთრი ქალაქი — სიკეკლუცით, სისუფთავით, ეშხით, სიახლით.

1952 წელს გახდა იგი რაიონული ცენტრი, მანამდე კი ერთი პატარა სოფელი იყო, რომელიც ხულოს რაიონში შედიოდა. დილიდან დაღამებამდე ელოდა ერთადერთ ჯაგლაგა ავტობუსს, ბათუმიდან რომ ფოსტა მოეტანა. გზის პირას ამ ავტობუსს ფოსტისა და ამბულატორიის ხის ძველი შენობა ხვდებოდა, იქვე იყო პატარა სასადილო, 5-კლასიანი სკოლა და მაღაზია.

დღეს თეთრად ქათქათებს რაიონული ცენტრი: საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საბავშვო ბაგა-ბაღი, მაღაზია, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული შენობა, სასტუმრო, რესტორანი. შესანიშნავად შეურწყმიათ აქაური პეიზაჟისთვის ახალი შენობების იერი. წინათ აჭარისწყალი შუახევში ბევრ შლამს ტოვებდა, ესეოდა მას კოღო და მოსახლეობა ითანგებოდა მალარიით. გაურბოდნენ შუახევში ცხოვრებას, გუდა-ნაბადს იკრავდნენ და მდინარისაგან შორს სახლდებოდნენ. ამოიშრო დამაავადებელი შლამი, განხორციელდა დიდი ღონისძიებანი, მალარია აღარ აწუხებს შუახეველებს, გაფართოვდა, ეკალბარდებისაგან გაიჩეხა და გაიწმინდა მდინარისპირა ველი. ამ შესანიშნავ მთის მდინარესთან შუახეველებს მალე სპორტული კომპლექსი ექნებათ.

ბევრი სახელოვანი ადამიანი გაიზარდა რაიონში:

ლევან დავითაძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დავით დიასამიძე — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა დავითაძე — ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ფატი დუმბაძე — საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, შოთა ფუტკარაძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, შოთა ზოიძე — პოეტი, სოლომონ მაკარაძე — პარტიული მუშაკი, ამჟამად აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

ეს კადრები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაიზარდნენ და დაწინაურდნენ. მანამდე რა იყო შუახევი — ღარიბი, გაუნათლებელი, მოუწყობელი მხარე. მოსახლეობას ღარიბ სახლებში, ქვემო სართულში, საქონელი ჰყავდა და 5-6 თვე ხის ტოტებით ჰკვებავდა. მოჰყავდათ ცოტაოდენი კარტოფილი და სიმინდი. თუ კარაქს დაამზადებდნენ, ბათუმში მიჰქონდათ გასაყიდად, რომ შეეძინათ ნავთი, მარილი, საპონი, ჩითი, ჩუსტები და ქალამნები. ხშირად ფეხით, შორი გზიდან მომავალ შუახეველს მასავით



შუახევი. კულტურის სახლი.

რებათა კანდიდატი, ვახტანგ წულუკიძე — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი, რამაზ სურმანიძე — ქალაქ ბათუმის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, მედიცინის მეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირვებული კაცი მძარცველად უხვდებოდა გზაზე და ამ ნავაჭრ-ნაჯაფარსართმევდა.

შუახევში არ იცოდნენ, რა იყო ექიმი, და ავადმყოფობისაგან უპატრონოდ იხოცებოდნენ. 1921 წელს ერთადერთი ფერშალი ჰყავდათ ბედის ანაბარად დარჩენილებს. რევოლუციამდე არც ქართული სკოლები ჰქონდათ და აქა-იქ გახსნილ სკოლებში ბავშვებს ხოჯა ასწავლიდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მთელი რევოლუცია მოხდა მთიანი აჭარის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაში.

შუახევის რაიონში 9 სასოფლო საბჭო, 65 სოფელი და 43 კოლმეურნეობაა. გახსნილია 13 საშუალო, 39 რვაწლიანი და 32 დაწყებითი სკოლა, სადაც მთლიანად ადგილობრივი მასწავლებლები მუშაობენ.

შუახევში არის სარაიონო კულტურის სახლი, 8 სასოფლო კულტურის სახლი, 25 კლუბი და ბიბლიოთეკა, რაიონული ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, მუსიკალური სკოლა, 29 სასოფლო ბიბლიოთეკა. ყველა სოფელშია კინოდანადგარი; სოფლები ძირითადად რადიოფიცირებულია, ყველგან არის ელექტროდენი.

ხალხის ჯანმრთელობას ემსახურება რაიონული საავადმყოფო, რაიონთაშორისო ტუბერკულოზური დისპანსერი, 3 სასოფლო საავადმყოფო, საუბნოთაშორისო საავადმყოფო სოფელ ჭყვანში, 4 ამბულატორია, ყველა სოფელშია საფერშლო პუნქტი.

დამპყრობთა სამასწლიანმა ბატონობამ შუახეველებს ვერ დააკარგვინა ენა, ადათი, ნიჭი. რაიონს საუკეთესო ინტელიგენცია ჰყავს, რომელიც აქედან ფეხს არ იცვლის და მშობელი მხარის კეთილდღეობისათვის შრომობს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა ექიმი ლილი ხოზრევანიძე, რომელიც ჭყვანის საუბნოთაშორისო საავადმყოფოში მუშაობს. განახლებული მთიანი აჭარის ინტერესებისათვის ლილი არაერთხელ გამოსულა უმაღლესი საბჭოს სესიაზე. აი, რას მოითხოვს იგი რაიონისათვის:

ამ შესანიშნავ მხარეში, სადაც ყოველწლიურად იზრდება მოსახლეობა, არა აქვთ სამშობიარო სახლი და ქალთა კონსულტაცია. რაიონული საავადმყოფო მოთავსებულია არატიპიურ, ძველ შენობაში და გათვალისწინებულია 50 კაცზე. რაიონს ესაჭიროება ახალი, 120-საწოლიანი კეთილმოწყობილი საავადმყოფო. რაიონში, სადაც საშუალოდ ოჯახში 5 ბავშვი იზრდება, არ არის ბავშვთა საავადმყოფო. სოფლად არა აქვთ აბანოები. შუახევში ვერ სარგებლობენ ტელევიზიით: რაიონში არის შესაძლებლობა იყოს სანატორიუმი. გაფართოება სჭირდება გზებს. ზოგიერთ სოფელში აუცილებელია წყალსაქაჩებისა და არხების მოწყობა. თამბაქოს პლანტაციებში მომუშავეთა შრომის შესამსუბუქებლად საჭიროა მექანიზაციის გამოყენება, რაიონს ესაჭიროება მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი — ეს ამოცანებია გადასაჭრელი სადღეისოდ, და თუ ისინი განხორციელდება, შუახევი კიდევ უფრო კულტურულ და კეთილმოწყობილ რაიონად იქცევა.

ახლა ყველა სოფელი უკავშირდება ცენტრს ავტობუსით. შორეულ სოფლებამდეც კი გაჭრილია სამიმოსვლო გზები. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ბინაზე აქვს ტელეფონი, რადიო, ელექტრონი. ყველა სოფელშია სასურსათო და სამრეწველო მაღაზია. მალე შუახევში გაიხსნება ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი.

რამდენად კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს დღეს 24 ათასი შუახეველი და მათ შორის 18 ათასი ქალი!

ვინ წარმოიდგენდა, რომ რაიონის სკოლებში დირექტორებად იმუშავებდნენ ადგილობრივი ქალები.

სოფელ ბარათაულის საშუალო სკოლის დირექტორი მედეა ტარიელაძე ახალგაზრდა ქალია, ფიზიკა-მათემატიკას ასწავლის მე-6, მე-10 კლასებში, ადრე უმუშავია პარტიის შუახევის რაიკომის მდივნად, ჰყავს სამი შვილი, აღსაზრდელად აბარია 185 ბავშვი, აპირებს სკოლის ახალი შენობის აგებას, ხელმძღვანელობს რაიონის ქალთა საბჭოს, რომელიც აერთიანებს 9 სასოფლო საბჭოს 48 კოლმეურნეობის 48 ქალთა კომიტეტს, სწავლობს რაიონის ქალთა შრომისა და ცხოვრების პირობებს; ეს საკითხები გამოაქვს პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებზე, სამსახურში აწყობს ქალებს, ზრუნავს მათი შვილებისათვის.



მეთამბაქოე ზულეიხა ფუტკარაძე



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ექიმი ლილი ხოზრევანიძე.

# ოქტომბერი მთაში

(ხულოს რაიონი)

სოფელი სამ კილომეტრზეა ხულომდე და ძველად ალმე ჰქვიოდა.იგი ვაშლების ქვეყანას ნიშნავს. იშვიათი გემოსა და არომატისაა აქაური ვაშლი — დიდრონი, წითელ-ყვითელი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, სოფელს სახელი შეუცვალეს და ოქტომბერი დაარქვეს. სახელივით შეიცვალა აქაური კაცის ცხოვრება. დღეს ოქტომბერში დიასახლისებს გაზის ქურები უნთიათ, სოფელი კი მთიანი აჭარის მაღლამდებარე რაიონშია.

აქედან გზა მთებით გოდერძის უღელტეხილზე გადადის, მერე ახლოსაა ადიგენი. უღელტეხილამდე ბეშუმის აგარაკია, ხულოელთა უმშვენიერესი დასასვენებელი ადგილი.

რაიონში ულამაზესი სოფელია ოქტომბერი. თითქოს ძველ თეატრში ხარ — შუაში სწორი ადგილია, ირგვლივ იარუსებადაა გორაკები — ფერდობებზე შეფენილი სახლებით.

სოფლის შესასვლელში შემოგვეგება საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნაზი ჯანგველაძე. სკოლასთან მიგვიყვანა, გვიამბო თავის მუშაობაზე, იმ ბავშვებზე, რომლებსაც თვითონ ბიოლოგიას ასწავლის, მეუღლე კი — ისტორიას. აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის მხრივ სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლა რაიონების სკოლებს შორის მოწინავედ ითვლება. კოხტად ჩაცმულები, მოსწავლის ფორმებში გამოწყობილები შემოგვხვდნენ სკოლიდან მომავალი ბავშვები.

კელაპტრებივით ენთო გორაკებზე ოქროსფერ-ალისფერი ხეები. ოქტომბერი იდგა სოფელ ოქტომბერში. ბუნებას ადამიანის განსაცვიფრებლად არაფერი დაეკლო სოფლისათვის. უფრო შორს, ამ კელაპტრების მიღმა, მუქ-ლურჯად მოჩანდა აჭარის მთები.

მე ბედნიერად ჩავთვალე ის ხალხი, ვინც დილიდან ღამემდე ამ სასწაულ ფერებს უყურებს, ვინც კეთილშობილდება არნახული სილამაზით, ვისაც კაცთმოყვარეობა თვალის ახელიდან ბუნებამ ჩაუნერგა.

დატოვება არ მინდოდა იქაურობის. დრო გადიოდა.

— ეს თუთიე ბოლქვაძის სახლია, — მითხრა ბიოლოგიის მასწავლებელმა. თუთიეს ვინ არ იცნობს ხულოში. შარშან 200 კილოგრამი თამბაქოს ნაცვლად 600 კილოგრამი თამბაქო დაამზადა.

— თუთიე, — ვთქვი და წარმოვიდგინე რბილი, სასიამოვნო ქალური ქალი, როგორც თავად სახელია.

მთიან აჭარაში საოცრად ნაზი ქალები არიან!

— ჩვენს სოფელში ცხოვრობს რაიონული საბჭოს დეპუტატი ნაზი აბულაძე. მან 550 კილოგრამი თამბაქო ჩააბარა. მოწინავეა ჟუჟუნა რიჟვაძე, გვყავს სახელოვანი მევენახე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჰურიე ჯაყელი.

გავიგე, რომ ჰურიეს 5 შვილი ჰყავს, ერთმანეთზე უკეთესები. ერთი მათგანი, ნანული ბიოლოგიას გაუტაცნია, პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს დაუსწრებლად, დღისით კი ბათუმის სარეცხი მანქანების ქარხანაში მუშაობს წუნმდებლად.

ცოლიკაური, ჩხავერი, ალიგოტე, ადესა — აი ვაზის რა ჯიშებს ახარებს ზემოაჭარელი ქალი.

სოფელ ოქტომბერში ადრე ჰურები უნახავთ ჩაყრილი. ჩანს, ვაზი აქაური ძველი კულტურაა.

ჰურიეს 2 ათას კვადრატულ მეტრზე აქვს ვენახი. შარშან 1 ტონა და 800 კოლგრამის ნაცვლად 4 ტონა და 200 კილოგრამი ყურძენი მოიწია.

200 მეტრზე თამბაქო აქვს მოსავლელი. 25 კილოგრამის ნაცვლად 100 კილოგრამს აბარებს ყოველწლიურად.

გზად 92 წლის ალალი ბოლქვაძე შემოგვხვდა, ოქტომბრის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე, 9 შვილის მამა.

სოფელ გოგაძეებში საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს აიშე დავითაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 მოწვევის დეპუტატი, სამი შვილის დედა, გეოგრაფიის მასწავლებელი, კომკავშირის ხულოს რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი.

რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგია ციური სარალიძე, თერაპევტია ჟუჟუნა ბერიძე. ხალისით მოვიდნენ ისინი ამ სამუშაოზე და, მიუხედავად სიძნელეებისა, ყველაფერს აკეთებენ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

ახლა ისინიც გავიხსენოთ, რომლებიც საკოლმეურნეო შრომაში არიან ჩაბმულნი და ქვეყნის დოვლათს ქმნიან. შუახევში მთავარი კულტურა თამბაქოა, აქაურ თამბაქოს ხარისხით პირველობა ერგება. რაიონი ყოველთვის ასრულებს გეგმებს, ამიტომაც ინარჩუნებს იგი მეთამბაქოებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალ დროშას.

დღეისათვისაც ძალიან ძნელია თამბაქოს მოვლა-პატრონობა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერჯერობით მეთამბაქოე ქალები ვერ იყენებენ მექანიზაციას და სამუშაო სპეცტანსაცმელიც კი არა აქვთ, — უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი ნამდვილი გმირები არიან. ამ გმირობისათვის მისცეს ლენინის ორდენი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ზულეიხა ფუტკარაძეს. მოწინავე მეთამბაქოეს სახელი აქვს რაიონში შუშანა ფუტკარაძეს. შრომის წითელი დროშის ორდენი აქვს სევიე დავითაძეს, შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, პარტორგანიზაციის მდივანს, 5 შვილის დედას, მეთამბაქოეს, რომელსაც ყოველწლიურად 190 კილოგრამი თამბაქოს ნაცვლად 600-700 კილოგრამი თამბაქო მოჰყავს. მძიმე შრომა უხდებათ სევიესა და მის თანამოსაქმეებსაც, როცა 1 კილოგრამი თამბაქოს მისაღებად 13 კილოგრამი ნედლი თამბაქოა საჭირო, თანაც ექვსჯერ შეტეხვა სჭირდება მას, გათოხნა და შეწამვლა ხომ თავისთავად, მერე აწემსვა, გაშრობა და კავზე ჩამოკიდება, ფერის მიცემა, დახარისხება, დაბარდაგება და აწონვა. სწორედ სახელოვანი ქალების დამსახურებაა, რომ რაიონს 452 ჰექტარზე 655 ტონა თამბაქო მოჰყავს ყოველწლიურად. კარგი მაჩვენებლები აქვთ შუახეველებს აგრეთვე წველადობის გეგმების შესრულებაში, კარტოფილის, სიმინდის, ყურძნის მოსავლიანობის გადიდებაში.

დაჩაგრული, თავჩაღუნული, მონურ მდგომარეობამდე მისული ქალის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ამაყ, წელგამართულ, განათლებულ ინტელიგენტს, კოლმეურნეს, დედას, რომელსაც სახლი შვილებით აუვსია, კარგად დაუზრდია, ყველასთვის განათლება მიუცია და შრომა შეუყვარებია, გარეთ კი, მამაკაცის მხარდამხარ, სასწაულებს ახდენს თავისი გარჯილობით, ჭკუითა და გონებით.

მრავალშვილიანი ოჯახები, როგორც წესი, ბევრია შუახევში. მაგალითისათვის ავიღოთ სოფელ ფურტიოში მცხოვრებ ლევან და ფატი ბერიძეების ოჯახი. მათ 11 შვილი ჰყავთ. ოჯახის მამა ლევანი ფურტიოს საშუალო სკოლის დირექტორია, დედა — ფატი კოლმეურნეობის წევრია. შვილებიდან 7 ვაჟია და 4 ქალი. 5 შვილი მასწავლებელია. ერთი სკოლის დირექტორია სოფელ წაბლანაში, ერთი შვილი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია, ერთი სამხედრო სამსახურშია, სამი შვილი ფურტიოს საშუალო სკოლაში სწავლობს.

შუახევიდან ხულოსაკენ მიმავალ გზას რომ დაადგები, სულ მაღლე მაღლა, მთაზე, ოცნებასავით გამოჩნდება ფურტიო. იქ ჯანმრთელი ხალხი ცხოვრობს, — სულითაც და ხორცითაც. იქ გონებაგახსნილი და შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს და მე ვიცი, კიდევ უფრო კარგი ახალი თაობა იზრდება. მე მინდა დავინახო ლევან ბერიძის შვილები, 11 შვილის დედა ფატი და მამა — ლევანი. ვერ ვხედავ მათ და გული მწყდება. მშვიდობას ვუსურვებ ამ მთებზე შეფენილ ულამაზეს სოფლებსა და სახლებს, თერთმეტშვილიან ოჯახებს, ათშვილიან რვაშვილიან მშობლებს, მთიანი აჭარის ყველა მოსახლეს.

მშვიდობა თქვენდა, მთებო!
და ვგრძნობ, ისინიც მესალმებიან!



სოციალისტური შრომის გმირები ნადია ზარდახაძე და უნქერ ბოლქვაძე (სოფ. ფანჩხა)

ვენახი, თამბაქო და ხილი მისი წამოწყებულია სოფელში.

— წინათ აქაურები მარტო სიმინდს თესავდნენ და საქონელს უვლიდნენ, — იგონებს ალალი.

იგი აქებს კოლმეურნეობის ახლანდელ თავმჯდომარეს ოსმან აბულაძეს, აქებს სოფლის ახალგაზრდობას.

9 ჰექტარი ვენახი აქვს კოლმეურნეობას. 30 ჰექტარზე თამბაქო გაუშენებიათ, წელიწადში 60 ტონა თამბაქოს აბარებენ. შრომაშია ჩაბმული 600 კომლი.

შრომამ გააძლიერა და გაალამაზა სოფელი.

აქაური მკვიდრია ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ეთერ აბულაძე. მას უმუშავია ხულოს ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად, პარტიის ხულოს რაიკომის მდივნად, დღეს კი რაიონში საპასუხისმგებლო მოვალეობასთან ერთად რაიონის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეა.

ქალთა ინტერესებისათვის მან მოითხოვა და ხულოში კიდეც გაიხსნა ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი, სადაც ამჟამად 300 ქალი მუშაობს.

ქალთა კომიტეტის ინიციატივით სოფელ ბოლაურში შენდება აბანო, სადაც რევმატიზმის სამკურნალო მინერალური წყლებია.

რაიონში ბევრი რამ კეთდება ეთერ აბულაძის ჩარევითა და ინიციატივით. სრულიად იცვალა სახე რაიონის სოფლებმა. სასოფლო საბჭოებთან ყველგან არის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სოფლები რადიოფიცირებულია, აქვთ პურის საცხობები, მაღაზიები, სკოლები, საექიმო პუნქტები. მალე ყველა სოფელს ექნება გაზი.

ხულოს ცენტრშია კეთილმოწყობილი სარაიონო საავადმყოფო, რომლის მთავარი ექიმი ეთერის მეუღლე ვახტანგ აბულაძე გახლავთ. აქვეა სამშობიარო სახლი, რომლის მთავარი ექიმია ნადია ხაჩიძე.

რაიონში საშუალოდ 1.100 ბავშვი იბადება წელიწადში. ხულოელების დიდი სურვილია ბავშვთა საავადმყოფოს აშენება. ექიმები სამუშაოდ ნაკლებად მოდიან აქ. ახალგაზრდა სპეციალისტებს, ალბათ, ჰგონიათ, ხულო დღესაც ჩამორჩენილი, მიუვალი მხარეაო.

საკმარისია ერთხელ ნახონ და დარწმუნდებიან, რომ ეს არის კულტურული რაიონული ცენტრი, რომელსაც სამანქანო გზა აკავშირებს ბათუმთან, რომ აქ ულამაზესი პეიზაჟებია, განუმეორებელი ბუნების სილამაზეა, არის ზომიერი კლიმატი, ცხოვრობს ნიჭიერი, შრომისმოყვარე და კეთილი ხალხი.

ხულოდან ისევ სოფელმა ოქტომბერმა გამოგვაცილა. ღამე იყო და იარუსებიან გორაკებიდან კიაფობდნენ სინათლეები. ღამეში გაფერმკრთალებულიყვნენ ალიხფერი კელაპტრები, ლანდებად ჩამწკრივებულიყვნენ და ჩუმად გვეთხოვებოდნენ.

ლია კაკაბაძე



აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჰურიე ჯაყელი (სოფ. ოქტომბერი)

ნანა გვარიშვილი

# ჩადრების ჭიაკოკონა

**1924 წელს ჩვენმა დედებმა საჯარო დაწვეს ჩადრები.**

ჰეი, დედებო, ნაპერწკლებს მაყრის
თქვენი ჩადრების ჭიაკოკონა.
ახლაც მედება ლოყებზე ალი.
მართლა დაწვავდით, როგორ მეგონა!

ქვეყნის მორჩილი, ასე სათუთი
ქალი, შეძლებდი ბნელს გაერიყო.
როგორ მეგონა, ის ცეცხლის შუქი
ჩემი მომავლის სინათლე იყო!..

## ცხრა შვილის დედა

თუ გაგონდება შენ ბედი
ხერხეულიძის დედისა?
როგორ ესმოდა ყიჟინა
ომში წასული ძმებისა,
ქარს მიჰყვებოდა წკრიალი
მათი ელვარე ხმლებისა!..

როგორ უხმობდა ცხრა ვაჟკაცს:
— შვილებო, რად იგვიანებთ?
ვაი თუ გიჭირთ, ლომებო!
დედა შეგიხვევთ იარებს,
თეთრონს მოვაფრენ მეც თქვენკენ,
თქვენი ხმა ამაბრიალებს.

ომში იბრძოდა ცხრა შვილთან
დედა — გრძნობებით ალალი.
რვა შვილის სისხლი ზედ ეცხო —
მეცხრეს გადასცა ალამი,
ისიც დაეცა, დაგუბდა
მშობლის ცრემლი და ვარამი.

არ დასცა დროშა ქართული, —
დედამ კვლავ ააფრიალა.
ცხრად გაჭყო თავის მანდილი,
ცხრას შეუხვია იარა.

ცხრა ლურჯა დიდხანს ელოდა
ვაჟკაცებს ომში წასულებს
და აუტირდათ ჩონგური
ბანზე მდგომ ლამაზ ასულებს.

ცხრა შვილის დედავ, თუ გესმის
ცხრა ვაჟის დედის ძახილი?
გამთელდა, ისევ გამთელდა
ცხრად გახეული მანდილი.

შეუბლალავი მოვიდა,
ქართველო დედავ, შენამდის.
მშვიდობა, მარად მშვიდობა
შენს ცხრა ვაჟკაცს და შენს მანდილს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

# წვიმა ორ ნაპირზე



მხატვარი ვ. გულისაშვილი

იმ დღეს ძმასთან ვიყავი სოფელში.

ასე, შუადღისას, წვიმა დაიწყო. ტყიდან მე და ჩემს ძმას გაუხხლავი ხე მოგვქონდა. წვიმამ იმატა, მაგრამ არ ავჩქარდით, რადგან ხე მძიმე იყო, თანაც წვიმა სასიამოვნოდ გვასველებდა დაღლილებს.

ხე ეზოში დავაწვინეთ. ხელები დავიბანეთ. ტალახიანი ჩლარტები კიბის ძირას დავყარეთ და აივანზე დაწყობილ ჯორკოებზე დავსხედით.

ძმას მოვნატრებოდი. ძალიან უხაროდა ჩემი ამოსვლა და დაწვრილებით მიყვებოდა სოფლის ამბებს. მე ერთხანს კარგად ვუსმინე, მაგრამ მალე თვალი გამექცა ნაფუძრის გაღმა წაბლის ხეებში მოჩხრიალე პატარა ნაკადულისაკენ, რომელსაც სახელად ღელეხმელა ჰქვია.

ოცი წლის მანძილზე ქუსლები გაცვეთილი მქონდა აქაურობაში სირბილით, მაგრამ ასე ნაღვლიანად ღელეხმელასაკენ არასოდეს გამიხედავს.

ძმამ შემატყო, რომ მის ლაპარაკს მაინცდამაინც აღარ ვუსმენდი, ადგა და ოთახში შევიდა.

ღელის გაღმა ნაპირს საზღვარი გასდევს. შემდეგ იქით უკვე უცხოეთია. ჩემი სოფელი ორ სამყაროშია. იქ, გაღმა, სოფლის გზაზე, ბავშვები ცხენს აჭენებენ. ხან ერთი ესვრის ქვას და დაიძახებს: აქეთ გამოდენე, ჭოვ, აქეთ, ხან — მეორე.

იქაც ისევე წვიმდა, როგორც ჩვენთან, წვიმას არ ეკითხება შენი საზღვარი — სადაც უნდა, იქ დაეშვება.

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ოთახიდან რადიოს ხმამაღალი გუგუნი გავიგონე. ძმამ დამიძახა:

—მოდი ერთი, ბაღნებს ფეხბურთი მოუნახე!

ყველაფერი გამახსენდა და ჩემს თავს ვერ ვაპატიე, რომ დღევანდელი მატჩი კინაღამ ხელიდან გავუშვი, ვეცი რადიომიმღებს და საჩქაროდ მოვნახე დედაქალაქი.

„მატჩის დამთავრებას სამი წუთი აკლია, მხოლოდ სამი წუთი... ანგარიში არ გახსნილა. ნოლით ნოლი!“ — ცეცხლი მომეკიდა, რა დრო დავკარგე, მაგრამ ნუთუ არაფერი მოხდება? ხმის ასაწევი ღილი ბოლომდე გადავაბრუნე, თითქოს ამით ვეხმარებოდი და ვაჩქარებდი ჩვენებს.

„...ბურთი მარცხენა ფრთაზე გასჭრეს, მიუსწრებს თუ არა მესხი! მიუსწრო... შეჩერდა, ალბათ, გადააწოდებს. არა, თვითონ წავიდა. მოატყუა ერთი დამცველი, მეორე... მესამეც... დარტყმა ძლიერი! არის!...“

მთელი სახლი გუგუნებდა. ბავშვები სკამზე ადიოდნენ, თითქოს იქიდან შორეული ქალაქის სტადიონი უნდა დაენახათ.

მე გულაჩუყებული აივანზე გავედი. თამაში ალბათ უკვე დამთავრდა, მაგრამ განუწყვეტელი ოვაციის გრიალი არ წყდებოდა. ფანჯრები და კარები ღია იყო და ჩვენი სახლიდან ეს ხმები ღელეხმელას ორივე ნაპირს ეფინებოდა.

წვიმამ უფრო იმატა.

მე ისევ გაღმა ნაპირზე გავიხედე.

ის ორი პატარა ბიჭი, ცხენს რომ აჭენებდა, ღობეზე ასულიყო და ჩვენსკენ გამოშვერილი ხელებით ტაშს უკრავდა.

შიშველ მკლავებზე დახეული ხალათის კონკები უფრიალებდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმის პორტი



ახალშენის კულტურის სახლი (ხელვაჩაურის რაიონი)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. იყო ერთად-ერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ორიოდე კლუბი. არ არსებობდა მუდმივი თეატრალური დასი. 1919 წლის „ბათუმის გაზეთის" ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი ევროპული ქალაქის სახელს ჩემულობს და საკურორტო სახელსაც ეპოტინება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით ის ღარიბზე ღარიბია, ქალაქში თეატრის მაგივრობას ორი საჭინიბო ასრულებს".

ახლა კი რესპუბლიკის მოსახლეობას ემსახურება 290 ბიბლიოთეკა, 161 კლუბი და კულტურის სახლი, სახელმწიფო დრამატული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სახელმწიფო ფილარმონია, 8 მუსიკალური სკოლა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამხატვრო სასწავლებლები, სამხატვრო სკოლა; წელს გაიხსნება 10 სასოფლო და ერთი საქალაქო ბიბლიოთეკა.

საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრი. მის დიდ შემოქმედებით კოლექტივს შეუძლია ყველაზე მომთხოვნი მაყურებლის წინაშეც კი თამამად წარსდგეს. თეატრმა დადგა ქართული, რუსული და საზღვარგარეთელი კლასიკოსების პიესები, საბჭოთა სინამდვილის ამსახველი სპექტაკლები. სახელოვან იუბილეს მიეძღვნა დადგმა: „კიკვიძე", „ალუდა ქეთელაური" და „სტუმარ-მასპინძელი".

ადამიანის იდეური განვითარება წარმოუდგენელია წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გარეშე. საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის კუთვნილებად აქცია წიგნი. დღეს მარტო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სისტემის 96 ბიბლიოთეკაში მილიონ 200 ათასზე მეტი წიგნია. სულ უფრო უმჯობესდება მკითხველთა მომსახურებაც. მათთვის ეწყობა კონფერენციები, თემატური საღამოები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. ამ მხრივ აღსანიშნავია ხულოს, ქობულეთის რაიონული, ბათუმის პირველი, მეორე და მესამე საქალაქო, სახელმწიფო მუზეუმის, ჩაქვის სადაბო, ახალსოფლის, ზენითის, ოლადაურის, ხიხაძირის სასოფლო, წითელი ოქტომბრის საკოლმეურნეო ბიბლიოთეკების საქმიანობა.

განსაკუთრებული როლი აკისრიათ საკლუბო დაწესებულებებს. მშრომელებს მაშინ მიუხარიათ კულტურის სახლში, კლუბსა თუ ბიბლიოთეკაში, როცა იქ ისმენენ საინტერესო ლექციებს, ნახულობენ კონცერტებს, წარმოდგენებს, ე. ი. როცა პოულობენ სულიერ საზრდოს. ერთ-ერთი საუკეთესოა ბობოყვათის კულტურის სახლი. აჭარაში პირველად მოეწყო საკოლმეურნეო სამხატვრო გალერეა-მუზეუმი. აღსანიშნავია, აგრეთვე შუახევის რაიონის კვიახიძეების სასოფლო კლუბისა და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კულტურის სახლის ნაყოფიერი მუშაობა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კულტურის სახლის მხატვრული ბრიგადა სისტემატურად მართავს კონცერტებს მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებთან. ამას წინათ გამართულ საოლქო დათვალიერება-ფესტივალის დროს მხატვრულმა თვითშემოქმედებითმა ანსამბლებმა და ცალკეულმა გუნდებმა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა გვიჩვენეს. თუ ხალხური ხელოვნების პირველ რესპუბლიკურ დათვალიერებაში, რომელიც 1929 წელს გაიმართა, მხოლოდ 250 შემსრულებელი მონაწილეობდა, ამჯერად 268 კოლექტივი გამოდიოდა და შემსრულებელთა რიცხვმა 7 ათასს გადააჭარბა.

აჭარისა და რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმებში თავმოყრილია მატერიალური კულტურის მრავალი ექსპონატი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებისათვის ჩვენი მუზეუმები დააჯილდოეს სსრ კავშირისა და საქართველოს კულტურის სამინისტროების დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყო სტაციონალური ექსპოზიცია, რომელიც დეტალურად გვაცნობს დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ეტაპებს. მუზეუმმა შეაგროვა უნიკალური ექსპონატები. აქ რეგულარულად იმართება სამეცნიერო სესიები, კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს, აწყობენ შეხვედრებს რევოლუციის ვეტერანებთან.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ექსპონირებულია საბჭოთა პერიოდის ამსახველი მასალები. საიუბილეო ვალდებულებათა შესასრულებლად მუზეუმი დიდ სამეცნიერო-კვლევით, შემკრებლობითს და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა. ამას წინათ მუზეუმის მუშაკები შემოქმედებით მივლინებაში იმყოფებოდნენ იალაღებზე, მეცხოველეებთან.

იუბილესათვის ემზადებიან აჭარელი მხატვრებიც, მათ საგამოფენო დარბაზში საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს.

ასე ხვდებიან აჭარის კულტურის მუშაკები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

ლ. გოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიზეიმოთ!





ბათუმი. ლენინის და ოქტომბრის პროსპექტების შესაყართან.

ახალი საცხოვრებელი კვარტალი

# ვეტერანი

ასე იცნობს მანქანათსაშენი ქარხნის სახელოვანი კოლექტივი მექანიკური საამქროს უფროსს ლილი ალექსანდრეს ასულ სვანიძეს.

იგი დაიბადა 1910 წლის 15 აგვისტოს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხეში, მოსამსახურის ოჯახში.

დედა მასწავლებელი იყო, მამა — ბუღალტერი. მშობლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბათუმის პირველი ქართული სკოლის დაარსებაში და აგიტაციას ეწეოდნენ სასწავლებელში ჩაებათ აჭარელი ბავშვები. მოწაფეობის პერიოდში ლილიმ დედასთან — გოგოლა შარაშენიძესთან ერთად ხულოს რაიონიდან ბათუმში სასწავლებლად ჩამოიყვანა პირველი აჭარელი გოგონა თამარ ბოლქვაძე.

ლილი მონაწილეა ქალთა პირველი რესპუბლიკური კონფერენციისა, რომელიც მიეძღვნა ჩადრის ახდის საკითხს. ამ კონფერენციაზე, როგორც თვითონ გვიამბობს, პირველმა აიხადა ჩადრი აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარის — ხოზრევანიძის ცოლმა.

1929 წ. ბათუმის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლილი სვანიძემ სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში იყო სტახანოვური მოძრაობის აქტიური მონაწილე.

1934 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ლილიმ შრომითი საქმიანობა დაიწყო ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის საჩამომსხმელო საამქროში ტექნიკური კონტროლის ოსტატად. 1936 წლიდან 1942 წლამდე მუშაობდა საჩამომსხმელო საამქროს უფროსად, 1942 წლიდან 1945 წლამდე ხელმძღვანელობდა საგეგმო-სამრეწველო განყოფილებას. 1945 წლიდან ჯერ საამკრებო საამქროს უფროსი ოსტატი, ხოლო შემდეგ ამავე საამქროს უფროსი იყო, 1956 წლის ოქტომბრიდან კი მექანიკურ საამქროს ხელმძღვანელობს, სადაც 200-ზე მეტი კაცი მუშაობს.

ლილი სვანიძემ ყველა უბანზე გამოავლინა დიდი ნიჭი და ენერგია, შესანიშნავი ტექნიკური მომზადება და მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელის უნარი. იგი რაზმავს საამქროს კოლექტივს საწარმოო გეგმების ხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საამქროს, რომელსაც ლილი ხელმძღვანელობს, მინიჭებული აქვს „კომუნისტური შრომის საამქროს" წოდება.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ლილი ხელმძღვანელობდა ქარხნის განსაკუთრებულ უბნებს და კარგი მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა.

1941 წლიდან ლილი სვანიძე სკკპ წევრია.

თავმდაბალი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, ენერგიული და გულთბილი ადამიანი, — ასე ახასიათებენ მას ნაცნობმეგობრები.

ლილის ასობით ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუზრდია, დაუხელოვნებია. საქართველოს სხვა ქარხნებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში ბევრი მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსი და ოსტატი მისი აღზრდილია. ესენი არიან: ეთერ დოლიძე, ნანული დოლიძე, ჟანა დარჩია, მანანა ქათამაძე, ნოდარ ინწკირველი და სხვები. მის მიერ გაწეულ შრომას უქმად არ ჩაუვლია. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ლ. სვანიძის საქმიანობას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 4 მაისის ბრძანებულებით მას საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება მიენიჭა.

ლ. სვანიძე დაჯილდოებულია მედლებით — „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

სარა მეგრელიშვილი,
მანქანათსაშენი ქარხნის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე.





# ახალგაზრდა პედაგოგი და მეცნიერი

ცქრიალა, თეთრბაფთიანი გოგონა უფროსებისა და მასწავლებლების საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა; ახარებდათ ცოდნისადმი მისი ასეთი სერიოზული, ბეჯითი დამოკიდებულება. გულმოდგინე შრომამ ნაყოფი გამოიღო — ნანი გუგუნავამ წარმატებით დაამთავრა ქ. ბათუმის № 2 საშუალო სკოლა და პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ბეჯითი ქალიშვილი ინსტიტუტშიც მალე შენიშნეს. სტუდენტთა კონფერენციებზე იგი კითხულობს სამეცნიერო თემებს, რომლებიც სათანადო აღიარებას პოულობენ. გულმოდგინე, მუყაითი სტუდენტის ჩათვლის წიგნაკში მხოლოდ „ხუთიანები" იწერება. მეორე კურსიდან ნანი გუგუნავას ლენინური სტიპენდია ენიშნება.

ნიჭიერი ქალიშვილი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩეოდა. შესანიშნავი ორგანიზატორი, ახალგაზრდების მეგობარი, კარგი კომკავშირელი მუშაკი — ასე იცნობდნენ მას.

ნანიმ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი. 1964 წლიდან ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტია. ახალგაზრდა ქალს გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარედ ირჩევენ. საზოგადოებრივი დატვირთვის პარალელურად იგი წარმატებით ართმევს თავს საბუნებისმეტყველო კათედრის ასისტენტის მოვალეობას. შემდეგ კი ამავე კათედრის უფროსი მასწავლებელია.

მარტო ინსტიტუტით როდი შემოიფარგლება ნანის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი ქალთა საოლქო საბჭოს წევრია. უნარიანად უძღვება ქალთა აქტივის მუშაობას. მას იცნობენ როგორც შესანიშნავი ღონისძიებების ინიციატორს.

1969 წლის 11 ნოემბერი დაუვიწყარი იქნება ნანის ცხოვრებაში. იგი ერთხელ კიდევ წარდგა დიდი გამოცდის წინაშე. აუდიტორია ნაცნობ-მეგობრებით იყო სავსე, აქვე იყვნენ მისი აღმზრდელი პროფესორ-მასწავლებლებიც. ნანიმ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მცენარეთა ფიზიოლოგიაში. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნანი გუგუნავასთვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭება.

ნ. გუგუნავა აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. 1968 წელს ეთერზეთების მსოფლიო კონგრესზე, რომელიც თბილისში გაიმართა, მოიწონეს მისი ნაშრომი „დაფნის ფოთლის ფოტოსინთეზის ინტენსიობა, პროდუქტიულობა და ეთერების შემცველობა"; ასევე წარმატება ხვდა ნ. გუგუნავას მოხსენებას თბილისში გამართულ საქართველოს ახალგაზრდა ბიოლოგთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე.

ბედნიერია ნანი. სიხარულია მის ლამაზ ოჯახში. ნანის ცხოვრებას უფრო შინაარსიანს ხდის მისი თბილი კერა — მეუღლე და პირველკლასელი ნინო, რომელსაც დედის მზრუნველი ხელი არ აკლია.

ნანი 12-მდე მეცნიერული შრომის ავტორია, იგი ამჟამად ახალ სამეცნიერო თემაზე მუშაობს. ახალგაზრდა პედაგოგსა და მეცნიერს წინ დიდი გზა აქვს...

რ. ხომერიკი

# ბათუმის თეატრის გზა

ბათუმის თეატრი ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოში. მის ისტორიას თითქმის არ ახსოვს ღრმა კონფლიქტები და ტრაგიკული სიტუაციები. იქ თაობები, ბევრ სხვა თეატრისაგან განსხვავებით, უფრო ჰარმონიულად თანაარსებობენ, უფრო ბუნებრივადაც ხდება მათი მონაცვლეობა. არავინ იცის, მომავალში თუ რამდენად ერთგული დარჩება თეატრი ამ პრინციპებისა, მაგრამ ეს სიმშვიდე ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ სცენას შეეხოს, რადგან სცენას ქარიშხალი უფრო „უხდება ვიდრე სარწყულის შხეფები" (გ. ქიქოძე).

ყოველ ახალ თაობას თავისი სატკივარი და საფიქრალი აქვს, ყოველ მათგანს სჯერა, რომ მხოლოდ მისი რწმენაა ყველაზე გულწრფელი, და საქმე — ყველაზე მართალი მაგრამ ყოველ მათგანს ხომ აქვს გუშინდელი დღე და ყოველი მათგანი მღელვარებით ელის მომავალს!

ეს გუშინდელი და ხვალინდელი დღე სხვა არაფერია, თუ არა ტრადიცია და სიახლე, რომლებიც თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ერთად თანაარსებობენ სცენაზე.

ტრადიცია კი ბათუმის თეატრს დიდი აქვს. მისი თეატრალური სანახაობითი ფორმები საუკუნეების სიღრმეებიდან მოდის. ასეულმა წლებმა დააკრისტალა იგი. შემდეგ პროფესიულ საწყისებზე დამკვიდრდა თეატრი და ბათუმელებიც მხარში ამოუდგნენ საქართველოს საერთო კულტურულ ცხოვრებას.

საგულისხმო ფაქტია, რომ ბათუმის თეატრის ისტორიის პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელი ქალთან, ქეთევან ქურულის სახელთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ისტორიული პირობების გამო ბათუმის თეატრალურ სფეროში ქალის გამოჩენა თითქოს მოულოდნელი და უცნაურიც იყო, იგი მაინც მოხდა. სწორედ ქეთევან ქურული ჩაუდგა პირველ წარმოდგენებს სათავეში და აქედან იწყება ბათუმის თეატრის ისტორიაც!

მალე ასი წელი შესრულდება მას შემდეგ, ბათუმის სცენისმოყვარეების პირველი სპექტაკლი რომ გაიმართა (წარმოადგინეს ზ. ანტონოვის „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“).

მას შემდეგ ბათუმის თეატრს ბევრჯერ ჰქონია საუკეთესო თეატრალური წლებიც და ჩავარდნილი სეზონებიც. სადაც შემოქმედებაა, იქ ძმებივით განუყრელია წარმატებაც და წარუმატებლობაც. ასე, რომ სცენის მოღვაწეებს ბევრი სიხარულიც ჰქონიათ და ბევრი გულისტკივილიც, მაგრამ ბათუმელების სასახელოდ, წარმატება უფრო მეტი რგებიათ და არა ერთხელ გამხდარან სამაგალითონი. ახლა ძნელია და წერილის მიზანიც არ არის, რომ თუნდაც თვალის ერთი გადავლებით გავიხსენოთ ამ თეატრის ისტორია, მაგრამ როგორ შეიძლება არ ვთქვათ, რომ მისმა სპექტაკლმა — „ოიდიპოს მეფემ“ მთელს კავშირში გაიხმაურა. თბილისის გარეთ არსებული თეატრებიდან მოსკოვშიაც პირველად ხომ ბათუმის თეატრი ჩავიდა!

ბათუმის თეატრს ბედი სწყალობდა რეჟისურაშიც. მის სცენას ახსოვს დ. ალექსიძის, არ. ჩხარტიშვილის, ვ. ტაბლიაშვილის, გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლები, მთელი სიცოცხლე ამ თეატრს დაუკავშირა შ. ინასარიძემ. უფროსების გვერდით აქ მოღვაწეობდნენ ახალგაზრდები გ. ჟორდანია, თ. აბაშიძე. ჩვენ გვახსოვს მათი მრავალი კარგი სპექტაკლი.

თეატრი მუდამ ცდილობდა ყოფილიყო თანამედროვე, ყოფილიყო რომანტიკულად ამაღლებული და მგზნებარე ტრიბუნი, ამასთანავე, არც ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური ნაკადისათვის შეეშალა ხელი!..

და თუ მაინც თავს იჩენდა ხოლმე კონსერვატიზმი, სცენური ფორმების ერთსახეობა, თეატრს მუდამ ყოფნიდა ძალა და უნარი თვითგანახლებისათვის.

ასე წინააღმდეგობრივი ძიებით მოვიდა იგი დღევანდელობამდე. დღეს კი თეატრში ამ ესტაფეტას აგრძელებს ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორი და მსახიობი გ. ქავთარაძე.

ბათუმის თეატრის ამჟამინდელი ცხოვრება ძალიან მკაფიოდ ჩანს ქართული თეატრის საერთო ფონზე.

თეატრის სცენაზე მიდის სპექტაკლები, რომლებიც არ შეიძლება ყურადღებას არ იქცევდნენ. ასეთია მისი „ორი პოემა“ და „დუელი“, „ნუ გეშინია, დედა“ და „მეთორმეტე ღამე“, „ხიდი“. სხვა ძველი და ახალი სპექტაკლების დასახელებაც შეიძლება. შეიძლება (ასეც არის!) მათ აკლდეთ სრულყოფილება, მთლიანობა, მაგრამ ცალკეული სცენები და აქტიორული სახეები მაინც გამოანათებენ ხოლმე!

შემოქმედებას ჭიდილი და სულიერი მოძრაობა უყვარს. მთავარია, იყოს მხატვრული დონე, თეატრალური აღმაფრენა და ნიჭიერება. ბათუმის თეატრში ტრადიციულად იშვიათად ყოფილა მძაფრი პოლემიკური წარმოდგენები, მაგრამ გასული სეზონი ამითაც იყო საინტერესო. პოლემიკა გამოიწვია ვ. კანდელაკის პიესამ „დრო 24 საათი“. პოლემიკური აღმოჩნდა შექსპირის „მეთორმეტე ღამეც“. ბევრისათვის სრულიად მოულოდნელი იყო შექსპირის პიესის ასე თამამი რეჟისორული გადაწყვეტა. შექსპირი და თანამედროვე საესტრადო სასიმღერო ნომრები — ეს მართლაც სულ სხვადასხვა მასშტაბებია, სხვადასხვა ეპოქის კოლორია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენ წარმოდგენიდან მაინც კმაყოფილი ბრუნდებით.

სპექტაკლი სავსეა იუმორით, აღმაფრენით, გონებამახვილური დეტალებით. მაგრამ აქ დეტალიც რაღაც შექსპირულია თავისი ფართო მონასმით, მასშტაბური გააზრებით.

მსახიობები მიმართავენ გაბედულ იმპროვიზაციებს. სითამამე იგრძნობა ჟესტისა და მოძრაობის მასშტაბებშიც.

შექსპირის პიესის წარმატება შემთხვევითი არ არის. თეატრის რეპერტუარში არის სხვა საინტერესო სპექტაკლები. ჩვენ ვნახეთ მის სცენაზე ვაჟა-ფშაველას პოემები, ვნახეთ მისი გმირული ხასიათები. ტრაგიკული კოლიზიები მეფობენ სცენაზე, როცა ვაჟა-ფშაველას „ორ პოემას“ („ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელს“) უყურებთ. თუმცა პირველში ნაკლებია პოეზია და მეორეში პროზა, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება მაინც ძლიერია.

შექსპირი და ვაჟა-ფშაველა — ორი გიგანტი სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქისა — ბათუმის თეატრმა წარმატებით „გამოსახა“ სცენაზე და ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს!..

ლიტერატურული თეატრის პრინციპებით არის დადგმული ბაიაჯიევის „დუელი“. ახალგაზრდა რეჟისორს ე. ჩხაიძეს, ალბათ, თავის არც ერთ სპექტაკლში არ მიუღწევია ისეთი მხატვრული მთლიანობისა და ფსიქოლოგიური ნაკადის ისეთი შინაგანი უწყვეტობისათვის, როგორც ამ წარმოდგენაში მიაღწია: ერთი ამოსუნთქვით იყურება სპექტაკლი. ერთი ფიქრი და აზრი დასტრიალებს მაყურებელს.

ადამიანური სიკეთის ძიებისა და მასში სიცოცხლის აზრის დანახვის სურვილი შუქივით ანათებს წარმოდგენას.

ჩვენ სპექტაკლების რეცენზირებას არ ვახდენთ. მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიეთ თეატრის ბოლო წლების მიღწევები. მიღწევები კი თეატრს ცოტა როდი აქვს. ამ ხუთი წლის წინათ ერთ-ერთ წერილში, რომელიც ბათუმის თეატრს ვუძღვენით, სამ მომენტზე ვამახვილებდით თეატრის ყურადღებას: თეატრს მივუთითებდით, რომ მეტი ეზრუნა მეტყველების სიწმინდისათვის, უფრო გაბედულად ებრძოლა შტამპებთან და რეპერტუარში ფართოდ წარმოედგინა ქართული ორიგინალური დრამატურგია. გავიდა წლები. პირველი ორი საკითხი კვლავ რჩება საგანგებო ზრუნვისა და ყურადღების საგანი, მაგრამ თეატრმა რეპერტუარში კი მართლაც მოახდინა სერიოზული შემობრუნება. ახლა ქართულმა ორიგინალურმა მწერლობამ დაიკავა უმთავრესი ადგილი. გასული სეზონი და ახალი თეატრალური წელი იმის მაგალითია, თუ რამდენი სიხარული შეიძლება მოუტანოს თეატრმა მაყურებელს, როცა იგი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე. თეატრის მესვეურები ცდილობენ შექმნან თავიანთი ორიგინალური რეპერტუარი, ამ მხრივ საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ თეატრმა მიიწვია გ. ლორთქიფანიძე და რესპუბლიკაში პირველად წარმოადგინეს ნ. დუმბაძის ახალი ნაწარმოები „ნუ გეშინია, დედა“. „ორი პოემაც“ თეატრებს შორის პირველად ბათუმში დაიდგა, სხვა მწერლების არაერთმა ახალმა ნაწარმოებმა მიიღო ნათლობა ბათუმის თეატრში.

ეს გზა გრძელდება. თეატრის მომავლის გეგმები, ფიქრები ბევრ სიახლეს გვპირდება ამ მხრივაც.

ბათუმის თეატრში ბევრი ნიჭიერი ხელოვანია. არიან გამოცდილნი, წელთა სიმრავლით „მდიდარი“ ადამიანები და ისინიც არიან, რომლებსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ საქმელი.

თეატრს უყვარს მუდმივი მოძრაობა და განახლება. ამიტომ მეტი ინტერესით უნდა ველოდოთ ამ თეატრის ხვალინდელ დღეს. სამი წლის შემდეგ ბათუმის თეატრის უფროს თაობებს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მთელი ჯგუფი შეუერთდება. ძველი და ახალი კვლავ გააგრძელებენ ხელოვნების დიდსა და საიმედო გზას. კვლავ გავხდებით მოწმენი ახალი წარმატებებისა, რადგან საამისოდ საფუძველი უკვე არსებობს. ჩაყრილია მტკიცე ბალავარი და ბათუმის თეატრი არასოდეს არ გამოიცლის ნიადაგს.

მისი ფუძეა რეალისტური, მართალი და რომანტიკულად ამაღლებული შემოქმედება.

ამ გზას ბევრი ხელოვანი გაუყვანია ფართო ასპარეზზე.

ამ გზას მიჰყვება ბათუმის თეატრიც.

**ვასილ კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფოკლე — „ანტიგონე“. ანტიგონე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლამარა ყარასაშვილი, ისმენა — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თამარ სულხანიშვილი.



ა. სამსონია — „ჩემი შვილი სიმონი“. სცენა სპექტაკლიდან.



სოფოკლე — „ოიდიპოს მეფე“. სცენა სპექტაკლიდან.





ა. გეწაძე — „წმინდანები ჯოჯოხეთში“. მირიანი — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ამირან ტაკიძე, მაია — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლამარა ყარასაშვილი.



ბოლქვაძე მ.

**ვ. ი. ლენინი**



ფილიპოვი ა. დეკორაციის ესკიზი ლორიას პიესისათვის „დინარა“.



ხოლუაშვილი შ. „მიტინგი აჭარაში“.



ინაიშვილი ნ. „ეზო“.



ბალუაში მ. „მერიქიფეები“.



იმნაიშვილი დ. „კიკვიძე“.



ზამთარაძე შ. „ჩადრის ახდა“.



იაკოვენკო ნ. „თანამემამულე აგიტატორი“.

# აჭარის მხატვრები

ეროვნული ბიბლიოთეკა



კვერნაძე მ. „რევოლუციის ქარიშხალი“.



ზალათოვი გ. „კარლ მარქსი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისლამის ტყვეობიდან კომუნიზმის მშენებლობამდე

„უბედურება ყველაზე მეტი გადაიტანა ქართველმა ქალმა", — წერდა გალაკტიონი, და სამართლიანადაც!

ქართველმა ქალმა, ოჯახის დედამ, მტრის მტრულად დამხვედრმა და მოყვრის გულთბილმა მასპინძელმა, მამაკაცთან ერთად გაიზიარა სამშობლოს ჭირი თუ ლხინი, ბედი თუ უბედობა, ომი თუ მშვიდობა.

ეს ნათლად ჩანს თუნდაც აჭარის მაგალითზე.

აჭარა ოდითვე ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებული კუთხე იყო. მესხეთმა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მოგვცა, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართული ეროვნული კულტურის შექმნასა და განვითარებას, ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას. დიდ საერო საქმეში მამაკაცის გვერდით იდგა ქართველი ქალი, რომელიც არა მარტო ოჯახს უვლიდა და სამშობლოს მომავალს უზრდიდა, არამედ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში. XIII საუკუნის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, მწერალი და მემატიანე ტბელი აბუსერიძე თავის თხზულებაში — „სასწაულნი წმინდისა გიორგისანი" — აღნიშნავს ქართველ ქალთა ღვაწლზე აჭარის ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებაში. განათლებულ ქალებს დიდი გავლენა ჰქონდათ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საოჯახო საქმეებში.

მაგრამ უკუღმართობის ჟამმა დაჰკრა და მაღალგანვითარებული ფეოდალური კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი სამხრეთ საქართველოს ქართველი ქალი ჩამორჩენილი მაჰმადიანი დამპყრობლის გავლენის ქვეშ მოექცა.

ქართველი ქალი ვერ ურიგდებოდა ოსმალთა ბატონობას, თავგამოდებით იცავდა წინაპართა რჯულსა და ტრადიციებს. ზ. ჭიჭინაძე თავის „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებაში" მოგვითხრობს მაქსიმ თავდგირიძის შესახებ. „მე უნდა გავთათრდე, — უთქვამს გადაგვარებულ თავადს ცოლისათვის, — შენც გათათრდი, ფაშობას ვიშოვი, გურია არ ამცდება და შენც გურიის დედოფლად გახდი".

„— უწინამც დღე დამელევა. მე ვერ გავთათრდები, — მტკიცედ მიუგო პატრიოტმა ქართველმა ქალმა".

აჭარელი ქალები იარაღით ხელში გამოდიოდნენ ოსმალების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ისახელეს თავი დანდალოელებმა. ქალები აჯანყებებსაც კი აწყობდნენ მომხდურთა წინააღმდეგ, მაგრამ ძალადობამ თავისი გაიტანა და ქართველი ქალი ყურანის მონა გახდა, ჩადრით შეიბურა და თავისუფლად სუნთქვაც კი აეკრძალა.

მოძალადეებმა, მართალია, მოსახლეობა გაამაჰმადიანეს, მაგრამ ვერ გაათურქეს, ეროვნული ფესვი ვერ ამოძირკვეს. მრავალჭირნახულმა აჭარამ მომხდურთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში სუფთად შემოინახა ქართული ენა, მამაპაპური ზნე-ჩვეულებები, ეროვნული ტრადიციები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეროვნული კულტურის შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქალებმა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ქალების ტრადიციულ მოვალეობას — წერა-კითხვის სწავლებას — ამ კუთხის ქალები XIX საუკუნის 90-იან წლებშიც ასრულებდნენ. მაგრამ, რადგან დამპყრობლები ქართულ წერა-კითხვასა და ლაპარაკს ისევე სდევნიდნენ, როგორც ქრისტიანობას, აქ ხშირად სარგებლობდნენ ქართული დამწერლობის ნიმუშით — „დედაბრული ხელით", რომელიც გამაჰმადიანებულ მოსახლეობაში იხმარებოდა, უმთავრესად ქალებში.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „აჭარამ სამი საუკუნის მანძილზე ცეცხლში გამოატარა თავისი ყოფა, თავისი ცხოვრება და აჭარელმა ქალმა, ამ სახელოვანმა ქართველმა დედამ უმწიკვლოდ შეგვინახა და ბრძოლით მოიტანა ჩვენი ტკბილი, მშობლიური ქართული დედა ენა".

ქართველმა მუსლიმანმა ქალმა ეროვნული ჩაცმულობაც შემოინახა. ჩადრქვეშ მას ქართული ტანსაცმელი ეცვა მთის ქალისა, ხოლო გულისპირებსა და სამაჯურებზე ქართული ორნამენტები იყო ამოქარგული. ჯვრებია გამოსახული აჭარის სახელმწიფო მუზეუმში ექსპონირებული ქალის წინდებზე, ხელთათმანებზე, საფულეებსა და საათების ქისებზე.

1877-1878 წლების ომში ოსმალთა დამარცხებას თან მოჰყვა მიტაცებული სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილის (ყარსის, არტაანის, ართვინისა და ბათუმის ოლქები) კვლავ დედასამშობლოსთან გაერთიანება. ეს იყო დიდი გამარჯვება, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწეები, მთელი ქართველი ხალხი.

ამ კუთხის ბედუკუღმართობით გულნატკენი ჩვენი ერის თავკაცები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და პოეტები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. გოგებაშვილი, ი. იმედაშვილი, ს. მესხი, მწერალი ქალები: დარია ახვლედიანი, დომინიკა ერისთავი (განდეგილი), ნინო ნაკაშიძე, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები სიტყვითა და საქმით ეხმარებოდნენ აჭარის მოსახლეობას.

დომინიკა ერისთავი ლექსში — „სალამი" — ასე მიმართავდა მათ:

სალამი, შენდა, ქართველო,
ნაფლეთო ერის გულისა,
გვარტომო შავთელ-რუსთველის
და თამარ დიდებულისა,
შემნახავ ტკბილი ქართულის,
კერავ, რაინდის სულისა...

მუსლიმან ქართველ ქალებს ლექსი მიუძღვნა მგოსანმა ქალმა დარია ახვლედიანმა:

მაშ, ვსცნოთ, დანო, რომ ერთი ვართ,
ერთი მამის შვილთა შვილნი,
საქართველოს შვილები ვართ,
ერთ ძუძუზე გამოზრდილნი...

დიდი ცდისა და სურვილის მიუხედავად, ცარიზმის კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის პირობებში ხიდის გამთელება ვერ მოხერხდა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეასრულა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ახალი ცხოვრება დაიწყო აჭარაში. მშრომელი ქალებიც თავდაპირველად მორცხვად და გაუბედავად, მაგრამ კულტურის ზრდის და განვითარების კვალობაზე თანდათანობით, წელშიგამართულნი, თავაწეულნი, ამაყად გამოვიდნენ თავისუფლების გზაზე.

ეს კია, რომ ქართველი მუსლიმანი ქალის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა ძალიან ძნელი იყო. საქმე ისაა, რომ ისტორიული წარსულის გამო აჭარაში ქალთა მოძრაობას საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ერთგვარი თავისებურებანი ახასიათებდა. აქ შემორჩენილი ფეოდალური გადმონაშთები, რელიგიური ფანატიზმი, ყოფა-ცხოვრებითი თავისებურებანი აძნელებდა ქალთა გამოყვანას ახალი ცხოვრების გზაზე.

ქალთა სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს სადელეგატო კრებებმა, ჭრა-კერვის სკოლებმა, ქალთა კომიტეტებმა, კლუბებმა და გლეხ ქალთა კუთხეებმა.

სწორედ აჭარელ ქალთა კომიტეტისა და კლუბების გარშემო შემოიკრიბნენ პირველი აქტივისტი აჭარელი ქალები: ალთუნ შაშიკაშვილი, ნაზიკო ჩიჯავაძე, ეფიზე კორძაია, სადეთ ჩხაიძე, ლამიე აბაშიძე, გულიზარ დიასამიძე, ულფეთ ქიქავა, გული ბარამიძე და სხვები.

ქალთა შორის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ლიდა გასვიანი, ალვასი თალაკვაძე, თამარ წილოსანი, აგრაფინა თალაკვაძე, მარო სურგულაძე, ანიკო დანელია, პოლინა ვლასტოპულო, ზინაიდა კიპარისისი, ანა პირუმოვა, ოლია კილაძე, ნინო აბულაძე, ოლია ბერაია, ელისაბედ უჯმაჯურიძე და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხის სამსახურში

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს გაეცნო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე კლარა ცეტკინი, რომელიც 1924 წლის ოქტომბერში ეწვია ამ მხარეს. საპატიო სტუმარმა შეისწავლა ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, მათი განწყობილება, და მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ აღმავლობის გზაზე მდგომი აჭარა გრანდიოზულ წარმატებებს მოიპოვებდა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა აჭარის ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ ნათლად დაადასტურა კლარა ცეტკინის ეს სიტყვები. აჭარის ასსრ მშრომელებმა არნახული წარმატებები მოიპოვეს მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში. აჭარის ცხოვრებაში მომხდარ დიდ სოციალურ გარდაქმნათა შორის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა აჭარის ქალთა თანამედროვე მდგომარეობა. ყურანის, შარიათისა და ადათისაგან დამცირებულ-შეურაცხყოფილმა ქალმა სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე გაიარა დიდი გზა ისლამის ტყვეობიდან კომუნიზმის მშენებელ მოქალაქემდე.

დღეს აჭარა ამაყობს თავისი სახელოვანი ქართველი ქალებით. ნევრესტან შაშიკაშვილი პირველი აჭარელი ექიმი ქალია. იგი მუშაობდა აჭარის ასსრ ჯანდაცვის სახალხო კომისრად, ამჟამად კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგე და საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა. მეცნიერებასა და სტუდენტთა აღზრდას ემსახურებიან დოცენტები: ნადია ჯიბუტი, ნანა გუგუნავა, ნადია საბაშვილი, ვერა ჯორბენაძე, ნელი დუმბაძე, მერი ცინცაძე და სხვები. სოციალისტური შრომის გმირმა, აკადემიკოსმა ქსენია ბახტაძემ ხომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი თავისი მეცნიერული გამოკვლევებით.

ქალები აქტიურად მონაწილეობენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში. დიდია მათი როლი სახელმწიფო და კულტურულ მშენებლობაში, ისინი იღწვიან ლიტერატურისა და ხელოვნების წინსვლისათვის, არიან სამამულო ომის მონაწილენი, უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მუშაობენ პედაგოგებად, ექიმებად, მოსამართლეებად, არიან მრავალშვილიანი დედები.

ქალები აქტიურობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბევრი კარგი საქმე გააკეთეს აჭარისათვის ზინაიდა კვაჭაძემ, ფატი დუმბაძემ, ეთერ ლლონტმა, აიშე გურგენიძემ, ნინო ხახუტაიშვილმა, ლამარა ბოლქვაძემ, გული კიკნაძემ, ეთერ ცივაძემ, ლუსია რუხაძემ, ეთერ აბულაძემ და სხვებმა.

განათლებული ქალი, პატიოსანი ოჯახის დედა ერის ღონე და ძლიერებაა, საყოველთაო პროგრესის აუცილებელი პირობაა. ალბათ, ამას გულისხმობდა ჩვენი აკაკი, როცა ამბობდა: ნეტავ იმ ერს, ვისაც კარგი ქალები ჰყავსო!

მერი გოცირიძე

საბჭოთა წყობილებამ ქალს ფართო ასპარეზი მისცა საზოგადოებრივ სარბიელზე. ეს განსაკუთრებით ითქმის აჭარელ ქალზე. იგი აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში. ბევრმა ქალმა გამოავლინა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარი, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის აჭარიდან არჩეულია 5 ქალი, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში — 11, აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოში კი — 25. სასოფლო და სადაბო საბჭოებში არჩეული 3.134 დეპუტატიდან 45 პროცენტი ქალია.

კარგ შრომით მაგალითს იძლევიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქეთევან გოგიტიძე, რომელმაც წელს 6.100 კილოგრამის ნაცვლად 7.370 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ასიე ქართველიშვილი და ელენე ბეჟანიძე, მეთამბაქოე ზულეიხა ფუტკარაძე და სხვები.

საბჭოთა ქალი — მშრომელი და დედა — შესანიშნავად უთავსებს დედობრივ მოვალეობას შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობას. აჭარის სოფლის მეურნეობაში მომუშავე 112 ქალს აქვს მინიჭებული სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ვის არ სმენია სოციალისტური შრომის გმირის, სამგზის ლენინის ორდენოსანის ასმათ ჟიჟავაძის, გული ჯინჭარაძის, ს. მაჭუტაძისა და სხვათა სახელები.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული 3.995 ადამიანიდან, რომელთა შორის 457 ლენინის ორდენოსანია, 146 ქალია.

11 ქალი არჩეულია სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეებად. კარგი მუშაობით გამოირჩევა ოჩხამურის სადაბო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ლიანა კაკაბაძე. 1969-1970 წლებში ბევრი სასარგებლო ღონისძიება განახორციელა საბჭომ სადაბო და შიდა საპლანტაციო გზების კეთილმოწყობისათვის, გაიყვანეს და მოაასფალტეს გზები, დადგეს დღის სინათლის ლამპიონები და სხვ.

საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე აქტიურად მონაწილეობენ აღმასკომისა და მუდმივი კომისიების წევრი ქალები, დეპუტატები. წელს მათ განიხილეს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, საკოლმეურნეო ბაზრის მუშაობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხები.

გასული წლის მაისში საბჭომ მოიწვია სოფლის ყრილობა, სადაც შეიკრიბნენ სადაბო საბჭოს დეპუტატები — მეჩაიეები და მეციტრუსეები, მასწავლებლები, ექიმები და იმსჯელეს ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმის შესახებ, დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შენდება და მშვენიერდება ოჩხამური. მის შენებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები და აქტივისტები, რომელთა

სოციალისტური შრომის გმირი ასმათ ჟიჟავაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



სოციალისტური
შრომის
გმირი
გულიკო
ქიქავაძე

მთავარი საზრუნავი მაინც ჩაის უხვი მოსავლის მიღება და სახელმწიფო გეგმების შესრულებაა. შარშან ოჩხამურელებმა ჩაის კრეფის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და ციტრუსების კარგი მოსავალიც მიიღეს.

კარგად მუშაობს ჩაისუბნის სასოფლო საბჭოც, რომელსაც 15 წელია ხელმძღვანელობს აგრონომი ქეთევან ფალავა. მისი მუშაობის პერიოდში აშენდა ჩაისუბნის კოლმეურნეობის კლუბ-კანტორა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სასოფლო საბჭოს ორსართულიანი შენობა. ჩაისუბნელები არავის უთმობენ პირველობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასა და წარმოებაში.

ახლა ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები დიდ შემოქმედებით და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სკკპ 24-ე ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე განაღდებისათვის.

**ნ. ხახუტაიშვილი,**
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

ნესტორ მალაზონია

# ჩემი წყარო

ამკამა წყაროვ,
უმო და წყნარო,
დედის გულივით დაუვიწყარო,
უშენოდ ვერ ვძლებ.

მე შენს წანწკარში,
ბროლის მტკნარ წყალში,
თუ შუაცეცხლთან შობილ ზღაპარში
ჩემს ფიქრებს ვეძებ.

ისე ხარ წმინდა,
სარკეც არ მინდა.
შენში ნათლად ჩანს ყოველი მხრიდან
სახება ჩვენი.
გამიხსენ გული,
ეს ცხრაკლიტური,
თორემ უთქმელად ტრფობით
მოკლული
ვიყავ და ვრჩები.
მზე ცაში აგწევს,
თუ ღელვა ზღვა გწევს,
არ შეუშინდე ცხოვრების ამ წესს,
რაც უნდა, ის ქნას.

ვისაც უყვარხარ,
ვისიც სუნთქვა ხარ,
და განუყრელად ვისიც სულთან ხარ,
გიპოვის იქაც.

ო, მენდე აქ მე:
მართალი საქმე,
ლტოლვა ლამაზი სიმაღლისაკენ
თქმულა ჰანგებად.

არც ცის თაღებში,
არც ზღვის ტალღებში
და არც უძირო სიმძულვარეში
არ იკარგება!

ქსენია მჟავია

# იცინიან ვარსკვლა-ვები

ჩემს სარკმელთან
ვარსკვლავების ვხედავ ციმციმს,
მინდა ვკითხო საიდუმლო
ცის და მიწის,
ზღვების,
ტბების,
მედიდურად მდგარი მთების,
მწვერვალების იდუმალი გარინდების,
მზის ჩქერების,
ჩანჩქერების მოძალების,
მოზეიმე გაზაფხულის მობრძანების;
ვარსკვლავებო, რომ ციმციმებთ საოცნებოდ,
ამიხსენით სამყაროის საოცრება.
იცინიან ვარსკვლავები განაზებით,
— ახლა ჩვენკენ ბილიკით თუ შარაგზებით
მოდის კაცი, გრიგალიც ვერ შეაჩერებს,
საიდუმლოს განა რამეს შეგვარჩენენ?
მოდის ლაღად —
მზის და ქვეყნის მბრძანებელი,
რომ სურნელით გაგვაბრუოს მწვანე ველის.
გარიურაჟი ვერცხლისფერი შუქით ელავს,
იცინიან ვარსკვლავები ნელა-ნელა.

მამია ვარშანიძე

*

ხან ჭოროხსა და ხან მტკვარს ვუგალობ,
ო, რა შორსაა მათი სათავე!
ადგილის დედავ, ჩემო უფალო,
ჩემს დიდ სიყვარულს რა გაათავებს.

*

ავყვები მტკვრის და ჭოროხის ჭალებს...
ვის ჩავიხუტებ გზადაგზა ტკბილად?
იმ მტრედს, ულვთოდ რომ დაგვაცალცალეს,
იმ დაჭრილ არწივს, გული რომ სტკივა.

*

იმ ბებერ მუხას მოვაცლი მუმლებს,
ჯიშად რომ მითქვამს და ფესვად მითქვამს,
აჰ, მჭოსნის გული რა არის თურმე,
იმ ყვავილებში თითქოს სულს ვითქვამ..

შენი ხატება სულს ისე მიდგამს, —
გადავიქცევი ბავშვურ სიცილად,
შენი დიდება! მე სხვა რა მინდა,
შენი ძუძუნი ჩემი ფიცია.

*

წამართვეს, მაინც მე ვარ მდიდარი
ვაზით, ტაძრებით, ნედლი თესლებით,
და მოფართქალე შუამდინარეთს,
ხან ჭოროხს, ხან მტკვარს ვეალერსები.



# შუქრიე ხანუმ

შუქრიე ხანუმ. ამ სახელით კარგად იცნობენ ხანდაზმულ, შვილებითა და შვილიშვილებით დატვირთულ ჭაღარა ქალს, მაგრამ მის საზოგადოებრივ დამსახურებაზე უფრო დროული ადამიანები გვიამბობენ.

რკინის მკვნეტელი დედაკაცი იყო, უშიშარი, გაბედული, თამამი, პირდაპირი, შეუდრეკელიო.

და 1918 წლის გაზაფხულს იგონებენ.

ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა ამ დროს თურქეთის ჯარი აჭარაში და მალე ბათუმსა და ქობულეთსაც დაეპატრონა.

ყველასათვის ძნელი ასატანია უცხოელი დამპყრობლების უღელქვეშ ყოფნა, მაგრამ იგი ყველაზე აუტანელი გახდა არამუსლიმანური მოსახლეობისათვის. ქალაქებში ერთგვარი საერთაშორისო კანონი თუ შეთანხმება ზღუდავდა დამპყრობლების თავაშვებულობას, მაგრამ სოფლებსა და დაბებში მცხოვრები სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების წარმომადგენლები სრულიად დაუცველი და განუკითხავი აღმოჩნდნენ.

მძიმე მდგომარეობაში მოექცნენ ქობულეთში მცხოვრები ქართველი ქრისტიანები. ბევრმა მიატოვა საკუთარი სახლ-კარი, პირუტყვი, ქონება და გაიხიზნა, მაგრამ ნაწილი მაინც დარჩა ადგილობრივ მცხოვრები ქართველი მუსლიმანების დახმარების იმედით. ასეთები ცოტანი არ იყვნენ. ამ დროს ქობულეთელმა ვაჟკაცებმა მართლაც დიდი პატრიოტული საქმე გააკეთეს. ბევრმა სიცოცხლე სასწორზე დადო და დამპყრობლებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა. მაგრამ ზოგჯერ მამაკაცის ვაჟკაცობაზე არა ნაკლებია ქალის როლი.

ამ დროს აჭარაში არც თუ ისე ადვილი საპოვნელი იყო ქალი, რომელსაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა არ დარიდებოდა და მამაკაცს გვერდით ამოდგომოდა, მასთან ერთად ებრძოლა უსამართლობისა და ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ.

შეიძლება შუქრიე ხანუმსაც ვერ დაეძლევია ეს საუკუნეობრივი შიში და მოკრძალება, მაგრამ როცა საკუთარი თვალით დაინახა თურქებისა და მათი აგენტების უმსგავსო საქციელი, როცა შეხედა, როგორ მგლებივით წაესივნენ გახიზნული მეზობლების უპატრონოდ მიტოვებულ ქონებას, როგორ დაუწყეს დევნა აქა-იქ თავშეფარებულ არამუსლიმანურ მოქალაქეებს, ვეღარ მოითმინა, მოიხსნა პირსაბურავი და აშკარად გადაუდგა წინ თურქ მოძალადეებს.

— რას შვებით! რაებს ჩადიხართ! განა გიწერიათ სადმე, რომ ძარცვოთ უდანაშაულო ადამიანების სახლ-კარი, ხოცოთ მოხუცები, ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები?! — და ეს უბრალო ახალგაზრდა ქმარ-შვილიანი ქალი ვეფხვივით გადაუდგა წინ ოჯახის ასაწიოკებლად მისულ ასკერებს.

— შენ, ეი, ვინა ხარ, ვის ესარჩლები? — ქალის ამგვარმა საქციელმა გააკვირვა თურქი ოფიცერი. — ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ შენ იფარავ გიაურებს, მფარველობ მათ ქონებასა და დოვლათს!

— დიახ, — უკან არ დაიხია მამაცმა ქალმა. — მე ჩემი მეზობლების ქონებას ვიცავ, მათ სიცოცხლეს ვმფარველობ. დღეს ისინი გადახვეწილი არიან, შიშველ-ტიტველი დაიარებიან, ლუკმა პურს დაეძებენ, თქვენ კი მათ ქონებას იტაცებთ. მე სინდისი, ადამიანობა მავალებს მოვიქცე ასე. თქვენ როგორც მოხვედით, ისე წახვალთ, მაგრამ მე? მე აქ დავრჩები, ჩემი მეზობლები და მეგობრები თავიანთ მიტოვებულ ოჯახებს დაუბრუნდებიან, რა უნდა ვუთხრა მათ, როგორ შევხვდე, როგორ შევხედო? თქვენ კი... — ახლა თურქეთის აგენტებს მიუბრუნდა, — გრცხვენოდეთ, თურქები წავლენ, ჩვენი მეზობლები დაბრუნდებიან და... მწარე იქნება განკითხვის დღე.

გაკვირვებულმა თურქმა ოფიცერმა ბეჯითად შეათვალიერა ეს კერპი ქალი.

— შენ ზედმეტს ბედავ! ჩვენი საქციელისათვის ჩვენვე ვართ პასუხისმგებლები, გაჩხრიკეთ სახლი! იქნებ გგონია, არ ვიცით, ვინ აფარებს თავს ამ შენს ქოხმახში?!

— სახლი გამიჩხრიკოთ? — კეტი მოიმარჯვა შუქრიე ხანუმმა. — იქნებ ფიქრობთ, რომ არაფერი მესმის კანონის! სტამბოლში წავალ, სულთანთან მივალ, მას მოვახსენებ თქვენს ავკაცობას.

— სტამბოლში? — გაეღიმა ოფიცერს — იცით საით არის სტამბოლი?

— დიახ, ვიცი. არაერთხელ ვყოფილვარ თურქეთის დედაქალაქში. ხომ არ გინდა ჩამოგითვალო იქაური ნაცნობ-მეგობრები?!

ოფიცერს ფერი ეცვალა.

„არ უნდა იყოს უბრალო ვინმე, — გაიფიქრა მან. — ასე მშვენივრად ლაპარაკობს თურქულ ენაზე, სტამბოლშიაც უმოგზაურია, ალბათ ვინმე გავლენიან პიროვნებას იცნობს. მართალია, დამპყრობლებს ყველაფერი შეუძლიათ — გაძარცვონ, მოკლან, დასაჯონ, მაგრამ თუ კანონთან მივიდა ვინმე და საკითხი დააყენა..."

— მეორეხელ თუ კიდევ გვაცნობეს, რომ შენს ოჯახში საეჭვო პირები ეფარებიან თავს... — და გაწბილებული ოფიცერი და მისი მხლებლები კუდამოძუებულები გაბრუნდნენ უკან.

— გადაგვარჩინე? — შეეკითხნენ შუქრიე ხანუმს მის ოჯახში თავშეფარებული მეზობლები.

— რა შვილი შემოვუშვებდი! — ამაყად თქვა დიასახლისმა და სადილის თადარიგს შეუდგა.

ამ ამბავის შემდეგ ბევრი რამ მოხდა. შუქრიე ხანუმის წინათქმა აუხდა თურქებსა და მის აგენტებს, სულ რამდენიმე თვე იპარპაშეს და წავიდნენ გახიზნულები კი თავიანთ კერას დაუბრუნდნენ.

დღეს, როცა შუქრიე ხანუმი წარსულს იგონებს და, დღევანდელი დღით კმაყოფილი და ბედნიერი, თვალს მოავლებს განახლებულ აჭარას, ერთი მიზნითა და სურვილით ანთებულ ადამიანებს, საერთო ფერხულში ჩაბმულ კომუნიზმის მშენებელ ქალებსა და ვაჟკაცებს, გული სიამით ევსება და სახეგაბრწყინებული ამბობს:

— ბედნიერი ვარ, ბედნიერი, რომ ჩემს ქვეყანაში ვერ ვხედავ სარწმუნოებრივი ფანატიზმით ერთმანეთზე გადაკიდებულ ადამიანებს, რომ დღეს ერთი საერთო საქმისათვის შრომობს და იბრძვის ყველა, მიუხედავად მათი ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომ ჩვენი აჭარა საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად დიდ საძმო ოჯახში — საბჭოთა კავშირში გაერთიანებული, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის უკეთესი მომავლისათვის.

ჩვენც ვეთანხმებით მხცოვან ქალს და ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

პარმენ ლორია

# პაფარემის ბურის მესაი — ლუმეი

როცა მზიური აჭარის კულტურულ აღმავლობაზე ჩამოვარდება საუბარი, პირველ რიგში ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირს ახსენებენ. ეს გასაკვირი არ არის. თუ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე წერა-კითხვის მცოდნე ერთ კაცსაც ვერ ნახავდით სოფელში, ამჟამად აქ 145-ზე მეტი უმაღლესდამთავრებული მასწავლებელი და ინჟინერია. ხიხაძირში ყველაზე მეტად პედაგოგები ჭარბობენ, რომლებიც თავდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა ანთაძე

დავბადებულვარ გამთენიისას,
ციდან მოსულა ეტლით ნათლია,
და საქართველო მარქვეს სახელად,
საქრისტიანოს მიწად მომზომეს
და ქრისტიანად გამომაცხადეს...
როგორც სულდგმული, წესით და რიგით
დააჯილდოეს სხეული ჩემი
არტერიებით (მტკვარი, რიონი...)
და სისხლძარღვებით (ქსანი, არაგვი,
ჭოროხი, ბახვი და სხვა მრავალი...).
ჭრილობის კვალი ბევრგან მაჩნია,
ხეობებად და დამრეც ხევებად;
ჩემს სხეულს ფარავს მარადიული ციცინათელა —
— დღეი და ღამე...
მთებს, როგორც სანთლებს, ვიმაგრებ გულზე
და სანთლის ბოლით — მთების ნისლებით
ვტირი ხანდახან...
როცა სიმწვანე შემოაქვს აპრილს,
რძე გადმოხეთქვას ლამობს ცურიდან...
დამესევიან წვრილი შვილები:
ქართლი, კახეთი და იმერეთი,
რაჭა, სვანეთი და ხევსურეთი,
სამეგრელო და მწვანე გურია.
აჭარა, ჩემი სისხლი და ხორცი
მკერდს მოწყვეტილი მყავდა რამდენ ხანს,
და მე ვტიროდი ვაზის ცრემლებით...
აჭარა — ჩემი სისხლი და ხორცი,
მე დავიბრუნე ადრე თუ გვიან
და ჩავეხუტეთ დედა და შვილი...
და ჩემი ცური უფრო ივსება,
და ჩემი გული უფრო დიდდება,
და მე ვმაღლდები მყინვარწვერამდე;
ცამ დამახურა თეთრი მანდილი
სისპეტაკის და ბედნიერების...
და მზის გვირგვინი დამადგა თავზე —
— მარადიული მარადისობა...
თუმც ბედნიერი დედა ვარ, მაგრამ,
მაინც ფრთხილია დედის გული,
ფრთხილი რარიგად...
ჰოი, ზენაო, ნუ მომაკლებ ბედნიერებას —
შენ დამილოცე ჩემი შვილები,
დედა-შვილობის ქვეყნად გამჩენო...

დებულად ემსახურებიან ჩვენი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის ძნელსა და საპატიო საქმეს.

მასწავლებელთა უმრავლესობა გაბაიძეების გვარიდანაა გამოსული. მათი რიცხვი ოცდაათს აღემატება, თუ ამას დავუმატებთ 16-ზე მეტ ახალგაზრდას, რომლებიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობენ, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში ერთ გვარს ამდენი პედაგოგი და არც სხვა სპეციალისტი არ მოუცია. ხიხაძირში დღესაც მადლიერებით იგონებენ ზორბეგ გაბაიძეს — გვარში პირველ პედაგოგს, რომელიც წლების მანძილზე ზრდიდა ჯერ კალოთელ და შემდეგ ხიხაძირელ ბავშვებს. იგი სამამულო ომში დაიღუპა. ომმა იმსხვერპლა პედაგოგი ყადირ გაბაიძეც. წლების განმავლობაში პედაგოგად მუშაობდა აჭარაში ლევან გაბაიძე.

ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლები: მირიან და დურსუნ გაბაიძეები, პედაგოგები: მუსტო, მეჯიდ, დავით, ჯემალ, აჩმედ, ალექსანდრე, ნოდარ, შალვა, ამირან, ნაზიმ, აკაკი, სონია გაბაიძეები და სხვები. პირველი ხიხაძირელი გოგონა, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო, ნესპიე გაბაიძეა. იგი 15 წელზე მეტია ისტორიას ასწავლის თანასოფლელთა შვილებს. საინტერესოა ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ემინე გაბაიძის მიერ განვლილი გზა.

დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. ბევრი პედაგოგი სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა და მუსრს ავლებდა ფაშისტებს. სკოლებს აკლდა მასწავლებლები. ხშირად სხვადასხვა საგნებს ერთი სპეციალისტი ასწავლიდა. ასე იყო ხიხაძირის სკოლაშიც. იმ სუსხიან დღეებში ემინემ პირველი გაკვეთილი ჩაატარა...

ბეჯითმა, დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. სულ მალე მისი მოწაფეები იყვნენ არა მარტო ნორჩები, არამედ ზრდადასრულებული და ხანშიშესული ადამიანებიც. მორჩებოდა თუ არა ემინე სკოლაში გაკვეთილებს, კოლმეურნეებთან გარბოდა აგიტაციის ჩასატარებლად.

25 წელი სკოლაში! — რა გრძელი გზაა! რამდენი ბავშვი ახსოვს, რამდენმა თაობამ გაიარა მის ხელში, რამდენი სახელოვანი ვაჟკაცი და შესანიშნავი დედა აღუზარდა სამშობლოს.

ემინე ყოველთვის ზრუნავს, რომ მისმა მოსწავლეებმა უმიზეზოდ არ გააცდინონ გაკვეთილები, მჭიდრო კავშირი აქვს მშობლებთან, პირველ რიგში ცდილობს შექმნას კლასში მუშაობის ყოველგვარი პირობები. გადასაცემი გაკვეთილისათვის საგულდაგულოდ ემზადება. იყენებს კლასგარეშე ლიტერატურას, თავისუფალ დროს უამბობს პატარებს მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავ-არაკებს, აყვარებს წიგნს.

პედაგოგმა იცის ყოველი მოსწავლის ცოდნის დონე და მისწრაფება, მათი ოჯახური პირობები, კარგად იცნობს აღსაზრდელთა მშობლებს. ამას თავისი შედეგი მოსდევს. ემინე გაბაიძის კლასში მეორეწლიანი მოსწავლეები საერთოდ არ არიან.

ასე აყალიბებს ემინე პატარებს სრულფასოვან ადამიანებად უღვივებს მათ შრომისა და სწავლის ინტერესს, უნერგავს ყოველივე ცუდის სიძულვილს, კეთილის სიყვარულს.

ემინეს აღზრდილები არიან ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორი მ. იმხნელიძე, მასწავლებლები: თ. ცეცხლაძე, გ. ჯაიანი, ფ. გაბაიძე, ნ. ხალვაში, გ. ბერიძე, ექიმი ა. ჯაიანი და სხვები.



ემინე გაბაიძე რამდენიმე წელია უნარიანად ხელმძღვანელობს ხიხაძირის სასოფლო ქალთა კომიტეტს, როგორც მისი უცვლელი თავმჯდომარე. იგი სოფლის კეთილმოწყობისათვის ენერგიას არ იშურებს.

ემინე გაბაიძე ხანგრძლივი და უმწიკვლო პედაგოგიური მუშაობისათვის დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით და ქების სიგელებით, მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, 1946 წლიდან ყოველთვის ირჩევენ სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

ეს წერილი ჩემი თანაკლასელის სიტყვებით მინდა დავამთავრო: ემინეს შვილები არა ჰყავს, მაგრამ მან კარგად იცის კერის სითბო, ოჯახის სიტკბო და შვილებით გამოწვეული სიხარულით.

მან აღზარდა ობოლი და-ძმა, მზრუნველობას არ აკლებს მათ შვილებს. მაგრამ ასეც რომ არ იყოს:

მასწავლებელი — თუნდაც უშვილო,
არის ათასი ბავშვის მშობელი.

გ. რაზმაძე



11602



# აჭარის ლაჟვარდში

ყოველწლიურად ათასობით ტურისტი და დამსვენებელი ეტანება საქვეყნოდ განთქმულ კურორტებს — ქობულეთს, ციხისძირს, მწვანე კონცხსა და ბათუმს. აქ წელიწადის ყოველ დროს მოედინებიან მოაგარაკენი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხიდან — ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან, ურალიდან, ციმბირიდან, სახალინიდან, კამჩატკიდან...

სიცოცხლისა და სიმხნევის წყაროა აჭარის კურორტები. აქ ყველა პირობაა შექმნილი მკურნალობისა და დასვენებისათვის.

ასე როდი იყო 50 წლის წინათ. ეს სიმდიდრე მხოლოდ კერძო მესაკუთრეებსა და მემამულეებს ეკუთვნოდათ, მშრომელი ხალხი კი მოკლებული იყო საკურორტო-სანატორიული მკურნალობისა და დასვენების სიკეთეს. კურორტები ხალხის საკუთრება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა. და დღეს მშრომელთა საკურორტო-სანატორიულ მკურნალობას მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ექცევა ისეთი დიდი ყურადღება, როგორც ჩვენთან — საბჭოთა ქვეყანაში.

დღითი დღე ლამაზდება და ფართოვდება აჭარის გამაჯანსაღებელი კერები, რომელთა მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე დაიწყო.

1919 წლის 20 მარტს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „საკურორტო ადგილების საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ“.

ლენინური დეკრეტი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ განხორციელდა, როცა ყველა საკურორტო ადგილი სახელმწიფოებრივ საკუთრებად გამოცხადდა. 1924 წელს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით, შეიქმნა კურორტების მთავარი სამმართველო. ამის შემდეგ ფართოდ გაიშალა საკურორტო მეურნეობა, დაიწყო დამსვენებელთა ორგანიზებული მკურნალობა. 1960 წლიდან კი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, საკურორტო პოლიკლინიკები და საერთოდ, ყველა გამაჯანსაღებელი კერა გადაეცა პროფკავშირებს.

1925 წლისათვის აჭარაში იყო 150-საწოლიანი ორი გამაჯანსაღებელი კერა, ხოლო ახლა 27 კერაა 5.500 საწოლით. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

მარტო შარშან ჩვენი რესპუბლიკის სანატორიუმებსა და პანსიონატებში სტაციონარული წესით ჯანმრთელობა გაიკაჟა 9.500 დამსვენებელმა და ამბულატორიულად 11.000-მდე კაცმა იმკურნალა.

საკურორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა კიდევ ერთი ახალი ღონისძიება, დასასვენებელი სახლები — „მზიური“, „მწვანე კონცხი“, „გონიო“, „ფიჭვნარი“ და „ბურევესტნიკი“ პანსიონატებად გადაკეთდა, სადაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს შეუძლიათ დასვენების დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარონ.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიექცა გამაჯანსაღებელი კერების კეთილმოწყობისა და მშენებლობის საკითხებს. მახინჯაურში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ელინგი. მსურველებს შეუძლიათ კომფორტული კატარღებით ისეირნონ ზღვაზე ბათუმსა და ქობულეთს შორის.

კეთილმოეწყო და სამედიცინო აღჭურვილობით მომარაგდა ქობულეთის პლაჟი.

მწვანე კონცხი. სანატორიუმი „აჭარა“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს დედათა და ბავშვთა პანსიონატ „გონიოს“ გაფართოება-რეკონსტრუქციისათვის. პანსიონატის ტერიტორიაზე შენდება ორი 450-ადგილიანი კორპუსი, გათვალისწინებულია ქობულეთის ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიური სანატორიუმის რეკონსტრუქცია.

საექსპლოატაციოდ გადაეცა პანსიონატ „ბურევესტნიკის“ კლუბი-სასადილო, რომელიც ერთდროულად ასობით დამსვენებელს მოემსახურება.

რეკონსტრუირებულია სანატორიუმი „აჭარა“. უკანასკნელ წლებში მას ორი ახალი კორპუსი შეემატა და ორჯერ გაიზარდა საწოლთა რაოდენობა. ახლა აქ ყოველწლიურად 4.000 მეტი დამსვენებელი ჩამოდის სამკურნალოდ. სანატორიუმის სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით. დამსვენებელთა განკარგულებაშია ზღვის აბაზანები, სამკურნალო და დასასვენებელი კაბინეტები. დიდი ყურადღება ეთმობა სამედიცინო მომსახურების კულტურის ამაღლებასა და მუშაობის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებას.

გენერალური გეგმის მიხედვით, ქობულეთში აშენდება დასასვენებელი სახლების კომპლექსი, ჯანმრთელობის ეს ახალი კერა აიგება უახლესი სტილით, — მრავალსართულიანი, კეთილმოწყობილი კორპუსებით, რომელიც თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღიჭურვება.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სანატორიული მკურნალობა. ამაღლდა საერთო-სამედიცინო მომსახურების კულტურა. ფართოდ დაინერგა მედიცინის სიახლენი. ახლა თითოეულ სანატორიუმს თავისი პროფილი აქვს. მაგალითად, სანატორიუმი „აჭარა“ ძირითადად არატუბერკულოზური წარმოშობის სასუნთქი ორგანოებით, არაორგანული ხასიათის ნერვულ და ნივთიერებათა ცვლის მოშლით დაავადებულთათვისაა განკუთვნილი. სანატორიუმ „ქობულეთში“ კი მხოლოდ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს მკურნალობენ.

საკურორტო-სანატორიული მკურნალობის პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ბიოფიზიკისა და ბიოქიმიის მიღწევები და მეცნიერული კვლევის ახალი მეთოდები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ავადმყოფთა ფუნქციონალური მდგომარეობის კონტროლი და გაადვილებულია დიაგნოზის დადგენა-დაზუსტება.

აჭარის კურორტების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი შრომობს. იგი თავის საქმიანობაში საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიო-თერაპიის ინსტიტუტების გამოცდილებებს იყენებს და სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას.

ვ. ახვლედიანი,

პროფკავშირის აჭარის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარე.

მეცნიერება ემსახურება ხალხს

# ადამიანი ოკეანის ფსკერზე

თითქოს ზღაპრულ გოლიათებს მოუკირწყლავთო ქვებით, ისე გამოიყურება ფოტოსურათებზე ოკეანის ფსკერი, რომელიც 6 ათასი მეტრის სიღრმეზეა. ფსკერი მოფენილია ქვის ბურთებით. მკვლევარებმა სპეციალური ხელსაწყოთი აიღეს ამ უცნაური ქვების სინჯები. აღმოჩნდა, რომ ისინი შედგებიან ძვირფასი მადნეულისაგან, შეიცავენ 45 პროცენტ მარგანეცს, 1 პროცენტ კობალტს, 1,4 პროცენტ ნიკელს და 1,8 პროცენტ სპილენძს. ამ ლითონმადნეულთა გროვების წარმოშობა ჯერჯერობით შეუსწავლელია. ვარაუდობენ, რომ იგი შედეგია მიკროორგანიზმთა დაგროვებისა. მიკროორგანიზმები შთანთქავენ ლითონს და ერთი ბირთვის გარშემო კოლონიებად სახლდებიან. თუ ეს ასეა, ლითონის „მჭამელნი“ ძალიან დღრმუცელები ყოფილან. მათ მიერ შექმნილი „ქვაფენილები“ მთელი ზღვის მეოთხედამდე ფართობს ფარავს, საერთო წონა კი დაახლოებით 500-1000 მილიარდ ტონას აღწევს. მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის ერთი მეექვსედი ახლა ოკეანეზე მოდის.

უახლოეს 30-40 წელიწადში ატლანტიდის ცენტრში წყლის სქელი საბურველის ქვეშ ადამიანები შეეცდებიან ააგონ ნამდვილი ქალაქი-სადგური, თავისი ქუჩებითა და რესტორნებით. ტექნიკის სპეციალისტები მშენებლობის პირველსავე ხანს მთვარეზე რაკეტის გაშვებასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე ნაკლებ სირთულეს როდი წააწყდებიან 3500 მეტრის სიღრმეზე. იქ, სადაც სადგური უნდა აიგოს, წყლის უზარმაზარი წნევაა. ფოლადის თანამედროვე წყალქვეშა ნავები ასეთ სიღრმეზე ისე გაიჭყლიტებიან, როგორც ასანთის კოლოფი მჭედლის ჩაქუჩისაგან.

მიუხედავად დიდი საიმედოობისა, ფოლადის კამერები საცხოვრებლად დიდად გამოსაყენებელი მაინც არ არის. მათი მთავარი ნაკლი ისაა, რომ მიდრეკილება აქვთ კოროზიისადმი, მარილიანი წყალი ფოლადს მალე ჭამს.

მინა მყიფე მასალად ითვლება. მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იგი წყალში საოცარ თვისებებს იძენს. მინის ღრუ ბურთი რომ ზღვაში ჩავუშვათ, ყოველ მეტრზე იგი სულ უფრო მტკიცე გახდება. ამ ფენომენურ მოვლენას სპეციალისტები სიღრმეში გამოწრთობას უწოდებენ.

საცხოვრებელი ბურთის პირველი საცდელი მოდელი დამზადებული იქნა 1969 წლის ზაფხულში და 3500 მეტრის სიღრმეზე წარმატებით გაიარა გამოცდა. ბურთის ყოველი კვადრატული სანტიმეტრი 10 ცენტნერზე მეტ წნევას უძლებდა. ამ გამოცდამ ძირითადად წყალქვეშა დასახლების მშენებლობის მეტად სერიოზული პრობლემა გადაჭრა. მაგრამ შეძლებს კი ხორცშესხმული არსება გადარჩეს 3500 მეტრის სიღრმეზე?! მაქსიმალური სიღრმე, რომელზეც ადამიანს სპეციალური აპარატის გარეშე შეუძლია ჩასვლა, 350 მეტრია. მაგრამ ასეთ სიღრმეზეც კი საჭირო ხდება ტექნიკური ხერხებისათვის მიმართვა. მედიკოსების თვალსაზრისით ადამიანს 400 მეტრზე მეტ სიღრმეზე ჩასვლა არ შეუძლია, რადგან წყლის წნევა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია გადამუშავებული გაზის ამოსუნთქვა.

ცნობილია, თევზები წყლის დიდ წნევას იმიტომ უძლებენ, რომ წყლით სუნთქავენ. თუ კი სითხის ჩასუნთქვა იცავს დამღუპველი წნევისაგან, მაშინ დიდ სიღრმეზე ჩასული ადამიანის ორგანიზმიც უნდა გარდაიქმნეს და მანაც ისუნთქოს წყლით — ისევე, როგორც დედის მუცელში სუნთქავდა ნაყოფისახლო სითხით.

პირველი ცდები ჩატარებული იქნა თაგვებზე, რომელთაც ჟანგბადით გამდიდრებულ მარილიან წყალში, ასე ვთქვათ, ზღვის წყალში ათავსებდნენ. ცხოველებზე მიღებულმა მიღწევებმა პროფესორ იოჰანს კილსტერს გადააწყვეტინა ჩაეტარებინა პირველი სარისკო ცდა ადამიანზე. გამოჩნდა მოხალისეც, ამერიკელი მყვინთავი ფრენსის ფალეიჩიკი. უსაფრთხოების მიზნით, პირველად ცდას მხოლოდ ერთ ფილტვზე უტარებდნენ. სასუნთქ გზებში შეიყვანეს ორმაგი შლანგი, რომლის ბოლოები მოათავსეს ბრონქებში. ამრიგად თითოეულ ფილტვს შეეძლო ცალ-ცალკე ესუნთქა. ჩვეულებრივი ჰაერი მხოლოდ ფილტვის მარცხენა ნახევარში შედიოდა. მარჯვენა ფილტვით მყვინთავი ჟანგბადით გამდიდრებული მარილიანი წყლით სუნთქავდა.

ცდას არავითარი გართულება არ მოჰყოლია. ფრენსის ფალეიჩიკს სუნთქვის გაძნელება არ უგვრძნია. მაგრამ გამარჯვებამდე ჯერ ადრე იყო. მართალია სასუნთქი სითხე ფილტვს ჟანგბადით კარგად ამარაგებდა, მაგრამ ამოსუნთქვისას საკმარისად ვერ გამოყოფდა ნახშირორჟანგს, ეს კი საშიშია.

მაგრამ სასუნთქავ სითხედ მარტო მარილიანი წყალი როდი შეიძლება გამოვიყენოთ. არის სხვა, უფრო შესაფერი სითხეები, რომელთა ხმარების დროსაც სამჯერ უფრო ეფექტურად გამოიყოფა შხამიანი ნახშირორჟანგა გაზი ფილტვებიდან. ამრიგად, მთავარი მიმართულება ნაპოვნია. მკვლევარები აღარ ეჭვობენ, რომ ახლო მომავალში მყვინთავებს ისეთი სასუნთქი აპარატით აღჭურავენ, რომელშიც ჰაერის როლს სითხე შეასრულებს. ისინი დარწმუნებული არიან იმაშიც, რომ მაშინ სიღრმეთა პირველ მკვლევარებს არავითარი წყალქვეშა წნევისა აღარ შეეშინდებათ.

ჟურნალ „შტერნიდან“

# ომგადახდილნი



## ყოფილი კომისარი

ჩვენს წინ მედლებით დამშვენებული ქალის სურათია. აქვეა ამონაჭრები გაზეთებიდან, ჩანაწერებით სავსე ბლოკნოტი. ვეცნობით მასალებს და პატივისცემით ვიმსჭვალებით ამ ქალისადმი.

სრულიად ახალგაზრდა იყო ნინო ნიკოლაიშვილი, როცა შრომის ფერხულში ჩაება. მუყაითი ქალიშვილი ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ თბილისში გაგზავნეს მშენებლობაზე.

შრომისმოყვარე მშენებელ-ტექნიკოსმა პირველი დღეებიდანვე დაიმსახურა თანამოსაქმეთა სიყვარული და პატივისცემა. ნინო აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. მალე მას მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიანდვეს.

1941 წლის მარტში ნინო მნიშვნელოვან უბანზე გაგზავნეს. იქაც ისახელა თავი. ღვაწლი დაუფასეს და დააჯილდოეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის".

სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში ნინო თავისი სურვილით ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. უფროსი ლეიტენანტი დივიზიონის პარტორგად მუშაობდა და ამავე დროს კომისრის მოვალეობას ასრულებდა.

დღეს ნინოს მკერდს მედლები ამშვენებს, ხოლო პირად საქმეს — მთავარსარდლობის მადლობები.

მუყაითმა ქალმა მშვიდობიან ცხოვრებაშიც გამოიჩინა თავი, უმაღლესი პარტიული სკოლა წარჩინებით დაამთავრა და შრომის ფერხულში ჩაება. მას აფასებენ, იცნობენ როგორც ნიჭიერ ორგანიზატორს, გამოცდილ პარტიულ მუშაკს.

ამჟამად ნინო ნიკოლაიშვილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელობს ქ. ბათუმში. ბრძოლასა და შრომაში ნაწრთობი ქალი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. სხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ნინო კარგად უძღვება პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მიერ მინდობილ საქმეს — ესაუბრება პარტიის რიგებში მისაღებ ახალგაზრდებს, ამოწმებს მათი მომზადების დონეს.



## ქარიშხლიან დღეთა ეხო

საველე ლაზარეთში დაჭრილთა ტევა არაა. სანიტრები და ექთანები ძლივს აუდიან საქმეს. საკაცეს ახალგაზრდა ქალი მოუძღვის... დაჭრილი დააკვირდა, თვალები გაუფართოვდა და შესძახა:

— გოგოვ, ჩვენებური ხარ?

— ჰო, ძია...

ეთერს ეცნაურა დაჭრილი, მოაგონდა, ეს ხომ ისაა, იმ ჯოჯოხეთიდან ცოცხალმკვდარი რომ გამოიყვანა და სისხლი გადაუსხა; ქართველი ყოფილა...

დაჭრილი ერთხანს დუმდა, მერე ხმა ამოიღო და ეთერს შეეხვეწა:

— შენმა ტოლმა გოგომ თურმე სიცოცხლე შემინარჩუნა, ეთერი ჰქვიაო, მითხრეს, იქნებ მომიყვანო, დავლოცო ის კურთხეული. შენ რა გქვია, შვილო?

ეთერმა მორცხვად ჩაიღიმა.

— ეთერს მეძახიან, ბიძიკო

დაჭრილმა თითები დაუკოცნა ეთერს. ცრემლმორეული სამადლობელ სიტყვებს ეუბნებოდა ქალიშვილს.

ახალგაზრდა ქალიშვილის ცხოვრების გზა საინტერესოდ წარიმართა. ბავშვების სიყვარულმა იგი ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში მიიყვანა. წარმატებით დაამთავრა ეს სასწავლებელი და ახალბედა პედაგოგმა მუშაობა ხულოში დაიწყო. ამ დროს აჭარაში დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული ქალთა საზოგადოებრივ საქმეში ჩაბმისა და დრომოჭმული ტრადიციებისაგან მათი განთავისუფლებისათვის. ამ საქმეში ეთერიც მონაწილეობდა. მუშაობდა ქალთა კომიტეტის თავმჯდომარედ; მისი აგიტაციით ბევრმა აჭარელმა ქალმა უარჰყო ძველი ტრადიცია და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება.

ომის დაწყების დროს ეთერი ბათუმის ბავშვთა სახლში მუშაობდა აღმზრდელად, ბავშვთა სახლი კოჯორში გადაიტანეს და ეთერიც იქ გადავიდა სამუშაოდ. 1942 წლის თებერვალში ეთერმა ფარაჯა ჩაიცვა და ვაჟკაცებს ამოუდგა გვერდით...

მშობლიურ კერას დაუბრუნდა ეთერი. ომგადახდილის მკერდს წითელი ვარსკვლავის ორდენი და 7 მედალი ამშვენებს. ეს ცოტა როდია. ამასთან 4 წლის მანძილზე მისი გმირული ბრძოლა უმაღლესი მთავარსარდლის — ი. ბ. სტალინის 16 მადლობითაც აღინიშნა.

...წლები წლებს გაჰყვნენ, ომგადახდილმა საკუთარი კერა შექმნა.

დღეს ბედნიერი დედაა ეთერი, ვაჟი მოესწრო, კარგი ჭაბუკი დადგა, ახარებს დედის გულს. სამსახურშიც აფასებენ ენერგიულ ქალს. ქალაქის № 1 საავადმყოფოს რენტგენ-ლაბორანტ ეთერ სურგულაძეზე მხოლოდ კარგის თქმა თუ შეუძლიათ.



## ეს გზა გაიარა ალექსანდრა მასხულიამ

ეს გზა გაიარა ალექსანდრა მასხულიამ, იგი როდი იყო იოლი, ნახა ცრემლი, სისხლი, კვნესა, წამება. მაგრამ ერთი წუთითაც არ შემდრკალა. ვინ მოსთვლის რამდენ ვაჟკაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე ახალგაზრდა დასტაქრის მარჯვენამ.

ეს სახელოვანი ქალი, ღირსეული წარმომადგენელია 20-30-იანი წლების მოწინავე ახალგაზრდობისა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრა ქალთა შორის მუშაობდა. 1928 წელს აქტიური მუშაკი ქალი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. გული სწავლისაკენ უწევდა... და აი, იგი მოსკოვშია. მუშაობს ერთ-ერთ ქარხანაში. აქაც თავი გამოიჩინა და ქარხნის ადმინისტრაციამ მას პირველს მისცა რეკომენდაცია სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად.

1938 წელს ალექსანდრა ექიმის დიპლომით ჩამოდის ბათუმში, მას ნიშნავენ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ. შემდეგ კვლავ მოსკოვშია, პროფესორ ბრაუდის ორდინატურაში ასპირანტად მუშაობს.

დაიწყო ომი... ალექსანდრა მოქმედ არმიაშია, ბელორუსიის ფრონტზე. აღელვებით იგონებს იგი გადახდილ ბრძოლებს. ვინ მოთვლის, რამდენი გაჭირვება ნახა, რამდენჯერ ჩახედა სიკვდილმა თვალებში. იგი თავის სიცოცხლეს არად აგდებდა, ცეცხლის ალიდან გამოჰყავდა დაჭრილები და მძიმე ოპერაციას ვაჟკაცურად ართმევდა თავს... 1941 წლის ნოემბერში, შეტაკებისას დაიჭრა.

გამოჯანმრთელების შემდეგ მონაწილეობდა ოსტროვის, ტარტუს, რიგის, ვარშავის განთავისუფლებაში, 1944 წელს პრუსიაში იბრძოდა. დიდი დამსახურებისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოეს.

მდინარე ოდერის გადალახვას მრავალი მებრძოლი შეეწირა. ალექსანდრა მებრძოლებთან ტრიალებდა. ტყვიების წვიმაში ჩვეული გულმოდგინებით მოძრაობდნენ დასტაქრის ხელები. შეუმჩნეველი არც ეს თავდადება დარჩენილა, ალექსანდრამ მთავარსარდლის მადლობა და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი მიიღო.

ბერლინის ბრძოლები... კვლავ დაჭრილებს მკურნალობდა ექიმი ქალი, საჭიროების დროს კი ავტომატსაც მარჯვედ ხმარობდა.

შეიმუსრა მტარვალი. დაიწყო შრომა და შენება. ალექსანდრა ბათუმშია, ისევ მშრომელების სიცოცხლის სადარაჯოზე დგას. უნარიანი ქალი მეცნიერულ მუშაობაში ჩაერთო. 1957 წელს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ვენური წნევა სხვადასხვა სახის გაუტკივარების შემთხვევაში და შოკის დროს".

1961-1964 წლებში ხულოს რაიონის უშორეს სოფელ აგარას მიაშურა. ამაგდარ ქალს სურდა თავისი გამოცდილებითა და ცოდნით სიკეთე მოეტანა აქაური მცხოვრებლებისათვის.

ამჟამად ალექსანდრა მასხულია ქ. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს ქირურგად. უყვართ ავადმყოფებს მადლიანი ხელებისა და კეთილი გულისათვის. იგი ღირსეულად ატარებს აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდებას.



## როცა ასეთი სიყვარულია...

ქსენია ბედნიერი იყო. ჰქონდა ლამაზი ოცნებები, წინ უფრო ბედნიერი მომავალი ესახებოდა, ჰყავდა მოსიყვარულე მეუღლე, ყოველ დღეს ახალი სიხარული მოჰქონდა ახალგაზრდებისათვის, მაგრამ...

დაიწყო ომი. შალვა კოპლატაძე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ქსენია სართანია-კოპლატაძე ფარაჯიანებს ამოუდგა მხარში. იგი სანიტარულ რაზმში დანიშნეს უფროს ფერშლად.

ბრძოლები სევასტოპოლში, აბოლებული მიწა, აკვამლებული ზეცა... სისხლი, ცრემლი, დაჭრილები. ქსენია ბრძოლის ველზე ტრიალებს, ჭრილობებს უხვევს მებრძოლებს და სამშვიდობოზე გამოჰყავს.

1942 წელი... მტერი წინ მოიწევს, ქსენია იარაღითაც იბრძვის. ერთ დღეს ქსენიამ ზედიზედ რამდენიმე დაჭრილი გადაარჩინა, ღამით კი, როცა ჩადგა ბრძოლის ქარცეცხლი, ერთხმად მიიღეს სკკპ რიგებში.

1943 წლის თებერვალში ქსენია დაიჭრა.

1944 წელს სამხრეები მოიხსნა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში დაიწყო სწავლა. 1948 წელს ექიმის დიპლომით ხელდამშვენებულმა ხულოს რაიონს მიაშურა. შვიდი წელი დაჰყო ქსენიამ ხულოში და ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე. 1954 წლიდან დღემდე გამოცდილი ექიმი ბათუმის ტუბერკულოზურ საავადმყოფოში მუშაობს.

ხანდახან თვალები აუცრემლდება ქსენიას. კედლიდან შინმოუსვლელი მეუღლის სურათი უღიმის... და თითქოს სამყაროს სწვდება ქსენიას სულის ამოძახილიც: ადამიანებო, იყავით ფხიზლად!



## ქუქუნა მასწავლე-ბელი

ქარვისფერი შემოდგომაა ქობულეთში, ფიჭვნარი თვალს ჩრტაცებს სილამაზით. მზეს აბლაბუდა გაუბამს ზღვაში, ტალღები ელამუნება ნაპირს. „ოქროს ნაპირი" შეურქმევიათ ამ უბნისათვის.

აქვეა ქობულეთის № 4 საშუალო სკოლაც. შესვენებაა. ჩვენს წინ წარმოსადეგი, მტკიცე გამომეტყველების ქალი დგას. იგი ისტორიის მასწავლებელი ქუქუნა ინაიშვილია.

უზრუნველად იზრდებოდნენ ქობულეთელი 7 და-ძმა ინაიშვილები, უზრუნველდო ითქმის, თორემ შრომისმოყვარე დედ-მამამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა შვილებს გარჯისა და შრომის სიყვარული. ყველა სწავლობდა, ყველა შრომობდა, ყველა გზას ადგა, მაგრამ... სამშობლოს დამცველები მოითხოვა და ქუქუნას ძმებიც ფრონტს მიაშურეს. ინაიშვილების ოჯახში ჯერ ბედნიერი წერილები მოდიოდა, მერე კი... შავები ჩაიცვეს დედამ და დებმა...

უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის წარჩინებული სტუდენტი იყო ქუქუნა ინაიშვილი, ფრონტს რომ მიაშურა. 1942 წლის აპრილი იყო. პირველი საბრძოლო ნათლობა კავკასიის მისადგომებთან მიიღო. მაშინ ქუქუნა ტელეფონისტის ძნელ მოვალეობას ასრულებდა, მუშაობდა ხაზების აღდგენაზე. სარდლობა კმაყოფილი იყო მისი მუშაობით, რაც არაერთხელ აღნიშნულა მადლობებითა და ჯილდოებით.

ენერგიული ქალიშვილი რადისტთა კურსებზე მიავლინეს, ქუქუნა კარგი რადისტი დადგა, ახლა უკვე ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა და რადიოსადგურში მუშაობდა...

ბავშვებს უყვართ წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მასწავლებელი, რომელიც ყოველთვის საინტერესოდ უყვება მათ დიდი სამამულო ომის ამბებს...

ჰენრიეტა ქუთათელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენთან, ქალთა კომიტეტში

მახსოვს, ერთ-ერთ ქარხანაში, უცხოელი ტურისტების ჯგუფის წევრმა შეახნის ქალს ჰკითხა: „თქვენ კომუნისტი ხართ?“ „მე პარტიის შვილი ვარ“, — უპასუხა მან. გამოირკვა, რომ ის ქალი უპარტიო იყო. შეკითხვაზე, თუ რატომ უპასუხა მან არასწორად, ქალმა განაცხადა: — „მე ყოველთვის სიმართლეს ვლაპარაკობ. ახლა კი იმიტომ ვუპასუხე ასე, რომ ჩვენ ყველანი დიდი პარტიის შვილები ვართ; მან გაგვიხსნა გზა ბედნიერებისაკენ, გაგვხადა თავისუფალი და ნამდვილი ადამიანი“.

დიახ, ასევე შეიძლება უპასუხოს მილიონობით საბჭოთა ქალმა, მათ შორის აჭარელმა ქალებმაც, რომელთაც ალბათ ყველაზე მეტი სამადლობელი აქვთ სათქმელი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

დიდი ლენინის მითითებანი და პარტიის გადაწყვეტილებები ქალთა განთავისუფლებისა და მათ შორის მუშაობის შესახებ გახდა სამოქმედო პროგრამა აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის. 1921 წელს პარტიულ კომიტეტებთან შეიქმნა მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილებანი, რომელთა მთავარი ამოცანა იყო ჩაება ქალი სოციალიზმის მშენებლობაში. ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების გატარებაში დიდი როლი შეასრულეს ქალთა ყრილობებმა და კონფერენციებმა.

„შემაფარეთ წითელ კომინტერნს, სადაც არ არიან მდიდრები, სადაც ყველა თანასწორია და თანაბარი“, — ამ წერილს წერდა ცრემლმორეული აჭარელი მუსლიმანი ქალი.

1921 წლის აპრილში გაიმართა ბათუმის ქალთა პირველი მიტინგი, რომელმაც მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. დეპეშაში ნათქვამი იყო: „ბათუმის ქალებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ შემჭიდროვდნენ და ყოველი თავისუფალი წუთი საბჭოთა მშენებლობის გაცნობას მოახმარონ, მონაწილეობა მიიღონ ახალი ხელისუფლების შექმნაში, იშრომონ რუსეთის ქალებთან ერთად“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აჭარელ ქალებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ენთუზიასტი, სპეციალისტი ქალები ეხმარებოდნენ მათ ცოდნისა და განათლების მიღებაში.

1924 წლის 18 ივლისს დაარსდა აჭარელ ქალთა კომიტეტი. აჭარის სახკომსაბჭოს ერთ-ერთ დადგენილებაში სწერია: „ამ კომიტეტის დაარსება გამოწვეულია ცხოვრების აუცილებელი პირობებით და შემდეგი მისი მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ თანამშრომლობასა და თანაგრძნობას გაუწევს მას ყველა საბჭოთა დაწესებულება. აჭარელი ქალი სამართლიანად მოითხოვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ძალების ჩარევას, მავნე ტრადიციების, ცრურწმენების უკუგდებასა და სოციალურ სრულუფლებიანობას. ამ მხრივ არის მიმართული ქალთა მოძრაობა აჭარაში და ამ დიდ საქმეს ემსახურება ქალთა კომიტეტი“. ეს ცირკულარი მოიწონა მუშათა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ კლარა ცეტკინმა, რომელიც 1924 წლის ოქტომბერში ესტუმრა აჭარას.

აჭარის ქალთა კომიტეტმა შესანიშნავად შეასრულა თავისი მოვალეობა და ამოცანები, აქტიურად მუშაობდნენ მაშინდელი მოწინავე ქალები, ძველი რევოლუციონერები: ალვასი თალაკვაძე, ალთუნ შაშიკაშვილი, ანიკო დანელია და სხვები.

აჭარაში ამჟამად სამასზე მეტი ქალთა კომიტეტია, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ქალთა შემოქმედებითს გააქტიურებაში; ქალთა კომიტეტები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ადგილობრივ საბჭოებთან, მათ მუდმივ კომისიებთან და დეპუტატებთან მჭიდრო კავშირში. ბევრია მოწინავე ქალთა კომიტეტი, მათ შორის აღსანიშნავია ხულოს ქალთა რაიონული კომიტეტი, რომელსაც წლების განმავლობაში სათავეში უდგას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ეთერ აბულაძე.

დასამალი როდია, რომ მაღალმთიანი რაიონების ზოგიერთ სოფლებში, სამწუხაროდ, დღემდე შემორჩენილია წარსულის მავნე გადმონაშთები: მცირეწლოვანთა ქორწინება, ძველი ფორმის ტანსაცმლის ტარება და სხვა. ქალთა კომიტეტის ინიციატივით ბევრ სოფელში გაიხსნა ჭრა-კერვის წრეები, სისტემატურად ეწყობა შორეული ექსკურსიები, აღმასკომის სხდომებსა და სესიებზე იხილავენ ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების ცალკეულ საკითხებს. ასევე აღსანიშნავია ქობულეთის ქალთა რაიონული კომიტეტი, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი ლუსია რუხაძე; კომიტეტი თავის სხდომებზე იხილავს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების, ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

კარგად მუშაობს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის ქალთა კომიტეტი (თავმჯდომარე — პედაგოგი ვ. ბარამიძე). კომიტეტისა და საშუალო სკოლის ხელმძღვანელთა ინიციატივით შეიქმნა მშობელთა უნივერსიტეტი. ადგილობრივი რადიოთი ყოველდღიურად შუქდება მოწინავე ქალთა საქმიანობა. კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა იმ ახალგაზრდებს შორის, რომელნიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივ შრომას. ქალების მოთხოვნით მოეწყო კულინარიის წრე, მათივე ინიციატივით დაიწყო სოფლის აბანოსა და ბავშვთა ბაღის მშენებლობაც. ქალთა კომიტეტს მიმოწერა აქვს ჩვენი ქვეყნის 23 ქალაქის ქალებთან. შემოქმედებითი მუშაობით გამოირჩევა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა პაშა სულაბერიძე. მუშათა სასადილოში მომსახურება, ჰიგიენის ოთახის მოწყობა, ქალთა შრომის დაცვა, ქარხნის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავთა გაშენება და მოვლა-პატრონობა — აი, საკითხები, რომელთაც ქალთა კომიტეტი იხილავს თავის სხდომებზე.

გარდა ამისა, ქალთა საოლქო კომიტეტი მაღალმთიან რაიონებში პერიოდულად გზავნის ქალთა ბრიგადებს სამედიცინო დახმარებისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში კი ზოგიერთი საკითხი განსახილველად შეგვაქვს პარტიის საოლქო კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში, სადაც ჩვენს მიერ წამოყენებულ ყველა წინადადებას გულისხმიერად ეკიდებიან.

ჩვენ გვეამაყება იმის აღნიშვნა, რომ დღეს აჭარაში არ არის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის არც ერთი დარგი, სადაც ქალს ღირსეული ადგილი არ ეკავოს. მრეწველობაში ცხრა ათასამდე ქალი მუშაობს, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შორის 55 პროცენტი ქალებია. 98 ქალი სოციალისტური შრომის გმირია.

აჭარის ასსრ ლენინის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე, პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა თქვა: „ეს ჯილდო ეკუთვნის იმ აჭარელ ქალს, რომელმაც პირველმა მოიძრო სახეზე დამაბეჩავებელი ჩადრი და ცეცხლში ისროლა. ეს ჯილდო ეკუთვნის ფადიკო გოგიტიძეს — მშობლიურ ლაჟვარდებში გაბედული ფრენისათვის, იგი ეკუთვნის ჰურიე ანანიძეს და ისრაფილ ჯინჭარაძეს — ფაშისტებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულთ... ეს ჯილდო ეკუთვნის იმ ჩვენს დედებს, სიკვდილის მუქარასა და სიბნელეში რომ გამოატარეს ქართული ენა“.

ისმენ ამ სიტყვებს და გეამაყება, რომ შენ ამ დედების შვილი და მემკვიდრე ხარ! გიხარია, რომ დღეს ასეთი ბედნიერი და თავისუფალია აჭარელი ქალი, რომ ჩვენში ქართული სიტყვა ჩუმად სალაპარაკო კი არაა, ძლიერად ჟღერს და შესანიშნავად შერწყმია მთელი საქართველოს კულტურის სიმფონიას.

**ლამარა ბოლქვაძე,**
**აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადიდეს დედა-ერის ბურჯი

„რამდენი შვილი უნდა გვყავდეს?“ — ეს კითხვა აწუხებს ახლა ყველა ქართველს, ვისაც თავისი ქვეყნის ბედი აფიქრებს, ვისაც ქართველობა რამედ ულირს. ძნელბედობის ჟამს ხმლითა და მახვილით იბრძოდა ქართველი ქალი სამშობლოსათვის.

დღეს კი ყველაზე დიდი მამულიშვილობა მრავალშვილიანობაა. სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხს გამოეხმაურა ქობულეთის რაიონი, როცა მრავალშვილიან დედათა პირველი რაიონული შეკრება მოაწყო, რომ ექოთ დედა — სიცოცხლის წყარო, ერის ბურჯი.

შეკრებაზე მოვიდნენ მრავალშვილიანი დედები: აიშე გოხიძე და ისმინე დავითაძე, ემზი გორგაძე და ხატიჯე ლალაიშვილი, მერიემ სურმანიძე და ჟუჟუნა შარაშიძე და სხვანი; რაიონში 48 გმირი დედაა, რომელთაც 10-დან 18-მდე ბავშვი შობეს და 1800 მრავალშვილიანია, რომელნიც 4-დან 10-მდე შვილს ზრდიან.

სიყვარულით უცქერი ამ მრავალშვილიან დედებს, ასე კარგებსა და სასახელოებს, რომელნიც სიტყვით კი, არა საქმით იხდიან ვალს სამშობლოს წინაშე და გული გწყდება, რომ ისინი თითებზე ჩამოსათვლელები არიან... დროა, ყველამ უარყოს ის მავნე შეხედულება, რომ მრავალშვილიანობა თითქოს ჩამორჩენილობაა, და შვილოსნობა ქალს აკნინებს და აუშნოებს.

აბა, რომელი საქმე შეედრება მოწინავე მეჩაის, 35 წლის ქალის, ხუთი ვაჟისა და ხუთი ქალიშვილის დედის — მერი სურმანიძის გმირობას ან თავდადებას აიშე ვარშანიძისას, რომელსაც 12 შვილი და 21 შვილიშვილი ჰყავს?

ნამდვილი ბედნიერება და ცხოვრების სილამაზე ბავშვების სიმრავლეში ვპოვეო, — ამბობს ხუცუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მრავალშვილიანი დედა ნარგიზა ცივაძე.

— ვერავინ ვერ იტყვის, რომ ბევრი შვილის აღზრდა დიდ შრომას არ მოითხოვდეს, მაგრამ ეს შრომა სიხარულითა და სიყვარულითაა სავსე. გული სიამით გევსება, როცა უსმენ მრავალშვილიან დედას ციცინო გოგიტიძეს:

— შვილებს თავიდანვე ვაჩვევ გარჯას. როგორც კი სასკოლო დავალებებს მორჩებიან, მერცხლებივით მომაშურებენ ხოლმე პლანტაციაში; მეხუთეკლასელი ზიული ჩაის კრეფაში მეჯიბრება კიდეც, იგი დღეში 80 კილოგრამამდე ფოთოლს კრეფს.

შეკრებაზე ერთი და ორი ფაქტი არ ითქვა იმის შესახებ, რომ მრავალშვილიანი დედა საზოგადო საქმეშიც უფრო ბეჯითია და შვილებსაც ასეთებად ზრდის.

მივბაძოთ ქობულეთელ მშრომელებს, წინ წამოვწიოთ და გამოვაჩინოთ დედის როლი, მრავალშვილიანობა ეროვნულ საქმედ გამოვაცხადოთ.

დიდება და ბედნიერება თქვენ, სახელოვანო, მრავალშვილიანო დედებო!

ნინო ახალკაცი

# მრავალშვილიანობა სამარცხვინოა?

ერთხელ ტურისტულ ჯგუფთან ერთად ვიმოგზაურე ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში. ერთ-ერთ ქალაქში მასპინძლებმა შეხვედრა მოგვიწყვეს. ჩემგან მარცხნივ მჯდომმა კოლეგამ (მასპინძელმა ქალმა) საუბრის დროს, სხვათაშორის მკითხა — საშუალოდ რამდენი შვილი ჰყავთ საქართველოში ქალებსო? მართალი გითხრათ, პასუხის გაცემა გამიძნელდა. სამი, ოთხი-მეთქი, — ვუპასუხე (ნეტავი მართლაც ასე იყოს!). მარჯვნივ მჯდომმა ჩემმა თანამემამულე ქალმა მ-მ ქიმუნჯი გამკრა, თვალებით შემომწყრა და ხმადაბლა მითხრა: — რას ამბობ, სირცხვილიაო. მე მაშინ ვერ გავიგე, რაში იყო საქმე. უცხოეთში ვიყავით, ვიფიქრე, რაღაც დიდი რამე დავაშავე-მეთქი, და გავჩუმდი. შემდეგ როცა საშუალება მომეცა, მ-ს ვკითხე, — ამიხსენი, იმ საუბრის დროს რა დავაშავე, რომ გამიწყერი-მეთქი. თითქოს ამას ელოდაო, აღშფოთებით მიპასუხა: — როგორ შეიძლება ასეთების თქმა კულტურულ ხალხში, მრავალშვილიანობას ევროპაში უკულტურობად თვლიანო. განვცვიფრდი. ეს მითხრა ერთ-ერთი ჩვენი ცნობილი მოღვაწის შვილმა. არა მგონია, ასეთი რჩევა მიეცა მ-სათვის მამამისს.

ეს არის ბრმა მიბაძვა „კულტურისადმი“, ის უარყოფითი გავლენა, რომლის ქვეშაც ადვილად ექცევიან სუსტი ნების ადამიანები.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ჩემი აზრი გავუზიარე ბევრ ნაცნობ და ახლობელ ქალს და ერთგვარი გამოკითხვა ჩავატარე. ზოგმა მე გამამტყუნა, ზოგმაც მ-ი. საყურადღებოა, რომ ბევრმა მათგანმა მრავალშვილიანობის საწინააღმდეგო საბუთად ქალის ჯანმრთელობაზე ხშირი ორსულობისა და მშობიარობის უარყოფითი გავლენა დაასახელა. ეს რომ ასე არ არის, ამის დასამტკიცებლად დავიმოწმებთ გამოკვლევას, რომელიც შუახევის რაიონში ჩავატარეთ, სადაც 1.300 მრავალშვილიანი დედა ცხოვრობდა. მოვახდინეთ მათი ღრმა სამედიცინო შემოწმება და გამოირკვა, რომ თითქმის ყველა გმირი დედა ჯანმრთელია, მუყაითად შრომობს ოჯახში და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გამოკვლევამ ის აზრიც უარჰყო, რომ წინათ, საქართველოში, მრავალშვილიანობას თითქოს նაადრევი ქორწინება (15-17 წლის ასაკში) განაპირობებდა.

ჩვენს მიერ გამოკვლეული ოცი გმირი დედიდან არც ერთი არ გათხოვილა 16 წელზე ადრე. მათი ქორწინების საშუალო ასაკი 20 წელი და 6 თვეა, რაც სავსებით აბათილებს ამ არასწორ მოსაზრებას.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალშვილიანობა არათუ უარყოფითად მოქმედებს დედის ჯანმრთელობაზე, არამედ პირიქით, იწვევს დედის ორგანიზმში ფსიქო-ფიზიოლოგიური ძალების მობილიზაციას, ზრდის მის პასუხისმგებლობას შვილებისა და ოჯახის მიმართ, რაც უდიდესი სტიმულია ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

მაგალითად, 5 შვილის დედა ვ. ქრონიკულმა ავადმყოფობამ (სტენოკარდიული შეტევები) სარეცელს მიაჯაჭვა. 5 წელი იტანჯებოდა ავადმყოფი, არავის ჰქონდა მისი გადარჩენის იმედი, მაგრამ ოჯახში ახალი უბედურება დატრიალდა — მოულოდნელად გარდაეცვალა მეუღლე. მცირეწლოვან ბავშვებს ავადმყოფი დედის გარდა არავინ დარჩათ მზრუნველი და მოხდა უცნაური ამბავი: დედას თანდათან დაეტყო გამოკეთება, ჯერ საოჯახო საქმეებს მიჰყო ხელი, შემდეგ პენსიაზე უარი განაცხადა და მუშაობა დაიწყო, რომელსაც დღესაც (შვიდი წლის შემდეგ) აგრძელებს. რა მოხდა? ავადმყოფმა იგრძნო უდიდესი პასუხისმგებლობა ოჯახისა და შვილების წინაშე. მის ორგანიზმში ამოძრავდა ყველა სარეზერვო ძალები, გაძლიერდა ფსიქო-ფიზიოლოგიური ფუნქციები და ქალი შრომის ფერხულში ჩადგა.

მცირეშვილიანობისა და უშვილობის მიზეზი ხშირად წინდაუხედავი ქორწინებაა, რომელიც ბევრჯერ ცოლ-ქმრის განშორებით მთავრდება. ამას ჩვეულებრივ თან სდევს პირველი ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, რაც შემდგომში უშვილობის ძირითადი მიზეზი ხდება. აქ კვლავ მცირეწლოვანთა ქორწინების საწინააღმდეგო აზრი იჩენს თავს, რადგანაც უთანასწორო, ნაჩქარევი ქორწინება სწორედ მცირეწლოვანთა ხვედრია.

როგორია ექიმების როლი მშობიარობის მატების საქმეში?! — ძალზე დიდი. ჩვენი კანონმდებლობით მუცლის ხელოვნური მოშლა სამედიცინო დაწესებულებაში ნებადართულია. მაგრამ რამდენი სიცოცხლის გადარჩენა შეიძლებოდა, თუ დედას ჩავუტარებდით შესაფერის საუბარს აბორტის მავნეობასა და მშობიარობის კეთილისმყოფელ გავლენაზე, მრავალშვილიანობის ეროვნულ მნიშვნელობაზე. ასეთი საუბრები ტარდება, მაგრამ არა საკმაოდ.

რამდენი შვილი უნდა გვყავდეს, რომ ერი გამრავლდეს?

— არა ნაკლებ სამისა.

რამაზ სურმანიძე,
ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

# სრული ჭეშმარიტება

— რა საშინელი ამბავია! — ქოთქოთებდა ერთი ქათამი, რომელიც იქაური კი არ იყო, სადაც ეს ამბავი მოხდა, არამედ სულ სხვა მხარეს, ქალაქის დასალიერში ცხოვრობდა. — ეს რა მომხდარა საქათმეში! მორჩა, დღეის ამას იქით, მარტო რა დამაძინებს. კიდევ კარგი, ბევრი მაინცა ვართ ამ ქანდარაზე!

და დაიწყო მოყოლა... თან ისე ყვებოდა, ისე, რომ ქათმებს სულ ბუმბული აებურძგნათ, მამალს კი ბიბილო მთლად მოეკრუნჩხა. ის კი არა და, არ ცხრებოდა: — ჰო, ჰო, სრული ჭეშმარიტებააო, გაიძახოდა.

მაგრამ თავიდან გიამბობთ. ეს ყველაფერი საქათმეში დაიწყო, მხოლოდ აქ კი არა, — ქალაქის მეორე ბოლოში.

მზე ჩადიოდა. ქათმები ის-ის იყო ქანდარაზე დამსხდარიყვნენ. ერთი მათგანი, თეთრი, ფეხკოტიტა ქათამი, რომელსაც საზოგადოება დიდ პატივსა სცემდა, რადგან მან ზედმიწევნით კეთილსინდისიერად მოასრულა დაკისრებული კვერცხების დადება, შეფრინდა ქანდარაზე და ძილის წინ ნისკარტით შეისწორა ბუმბული. ამ სწორებ-სწორებაში ერთი ბუმბული კიდეც მოსძვრა.

— იჰ, რა უშავს, — ჩაილაპარაკა მან, — რაც მეტი დამცვივა, უფრო ლამაზი გამოვჩნდები!

ეს ისე, ხუმრობით იყო ნათქვამი. საერთოდ, იმ ქათამს უყვარდა ხოლმე ხუმრობა, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს მისდამი პატივისცემასა და მოკრძალებას. ამასობაში კიდეც დაიძინა.

საქათმეში ბნელოდა. ქანდარაზე ქათმები გვერდიგვერდ მიჭუჭკულიყვნენ. ჩვენი ქათმის გვერდით რომ იჯდა, იმას თურმე არ ეძინა. ვერ იტყოდით, საგანგებოდ უსმენსო, ისე, ცალი ყური იქითკენ ჰქონდა. აბა რა, ასეც უნდა, თუკი შენიანებში აპირებ ცხოვრებას. ჰოდა, იმ ქათამმა, ბოლოს და ბოლოს, ველარ მოითმინა და მეზობელს გადაუჩურჩულა:

— გაიგონე? სახელს არ ვიტყვი და, ჩვენთან ერთი ქათამი მზადაა მთელი ბუმბული შემოიბდღვნას, ოღონდაც გალამაზდეს. მე რომ მამალი ვიყო, სწორედ რომ შემზიზღდებოდა!

საქათმის ზემოთ, ბუდეში, ჭოტი მოკალათებულიყო ქმარ-შვილიანად; ჭოტებს, ხომ მოგეხსენებათ, ერთობ მახვილი ყური აქვთ. ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვიათ. რაც შეეძლოთ აღვრიალებდნენ თვალებს. დედა ჭოტი კი ფრთებს მარაოსავით აფართხუნებდა.

— ჩუუ!.. ყურს ნუ უგდებთ, ბავშვებო! თუმცა ეჭვიც არ მეპარება, ყველაფერს გაიგონებდით! მეც გავიგონე, მეც! ჰო, პირდაპირ ყურები უნდა დაიცო! თურმე, ერთი ქათამი ისე გატუტუცებულა, მამლის თვალწინ დაუპუტავს ბუმბული!

— Rener garde aux enfants![1] — უთხრა მამა ჭოტმა. — ასეთ რამეზე პატარებთან არ ლაპარაკობენ!

— ისე, რა მაგის პასუხია და, ჩვენს მეზობელ ჭოტს აუცილებლად მოვუყვები ამ ამბავს, ის ისეთი შესანიშნავი პიროვნებაა...

დედა ჭოტმა, არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე მეზობლისკენ გასწია.

— გუ-გუ, გუ-გუ! — ცოტა ხანში ორივე ჭოტი დასძახოდა სამტრედეს. — თქვენ არ იცით? არ გაგიგიათ? გუ-გუ! ერთმა ქათამმა მამლის გულისთვის მთელი ბუმბული დაიპუტა. ხომ გაიყინება, სიცივისაგან მოკვდება. ვინ იცის, გაიყინა კიდეც! გუ-გუ!

— კრუ-კრუ! სად, სად? — აღუღუნდნენ მტრედები.

— სად და, ჩვენს მეზობელ ეზოში. ჰო, თითქმის ჩემს თვალწინ მოხდა ყველაფერი. უბრალოდ, ამაზე ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ, ეს ხომ სრული ჭეშმარიტებაა!

— გვჯერა, გვჯერა! — აქაქანდნენ მტრედები და მაშინვე ქვემოთ მსხდომ ქათმებს ჩასძახეს:

— კრუ-კრუ, კრუ-კრუ! ამბობენ, ერთ ქათამს, მგონი — სულაც ორსაც, მთელი ბუმბული დაუპუტავთ, მამლის თვალში რომ გამორჩეულიყვნენ. სარისკო საქმეა! ხომ შეიძლება გაცივდნენ, ანდა მოკვდნენ? ჰოდა, კიდეც დახოცილან.

— ყიყ-ლი-ყოო! გაიღვიძეთ! — დასძახა მამალმა და ღობეზე შეფრინდა. მას ჯერ კიდევ ეწეპებოდა ნამძინარევი თვალები, მაგრამ მაინც გაჰყიოდა: — გესმით? სამ ქათამს თავი მოუკლავს მამლის გულისათვის. მთელი ბუმბული დაუბდღვნიათ! რა საზიზღრობაა!.. არც დავფარავ, დაე, მთელმა ქვეყანამ შეიტყოს!

— სწორედაც, სწორედაც! — აწრიპინდნენ ღამურები, აკაკანდნენ ქათმები, აყივლდნენ მამლები. — სწორედაც, სწორედაც!

და მოედო ეს ამბავი ეზოს, საქათმიდან საქათმეს და ბოლოს იმ ადგილამდეც მიაღწია, საიდანაც დაიწყო.

— თურმე, ხუთ ქათამს, — ასე ყვებოდნენ აქ, — მთელი ბუმბული დაუგლეჯია და გამიშვლებულა, მამლისთვის რომ ეჩვენებიათ, რომელი უფრო ჩამოხმა მისი სიყვარულით. მერე წაკიდებულან და სასიკვდილოდ დაუკორტნიათ ერთმანეთი. გვარიშვილობა ხომ შეარცხვინეს და შეარცხვინეს, პატრონსაც გვარიანი ზარალი მიაყენეს.

ქათამი, რომელსაც სინამდვილეში ერთი ბუმბული მოსძვრა, რა თქმა უნდა, ამ ნაამბობში ვერ იცნობდა საკუთარ თავს და, როგორც დარბაისელ ქათამს შეშვენის, ავტორიტეტულად განაცხადა:

— ო, როგორ ვერ ვიტან ამგვარ ქათმებს! მერედა რამდენია მაგათი ჯურისა... არა, გეთაყვა, ამ ამბის მიფუჩეჩება შეუძლებელია. პირადად მე ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ გაზეთში დაიბეჭდოს ამის შესახებ. დაე, ქვეყანამ შეიტყოს, — ეს ქათმებიც და მათი მთელი მოდგმაც, სწორედ რომ განკიცხვის ღირსნი არიან!

და მართლაც დაიბეჭდა გაზეთში ეს ამბავი. დიახ, სრული ჭეშმარიტება გახლავთ: ძნელი როდია, ერთი პატარა ბუმბული ხუთ ქათმად იქცეს!

თარგმნა მილიცა ჯაფარიძემ

[1] ცოტა ფრთხილად ბავშვებთან! (ფრანგ.).

გარეკანის პირველ გვერდზე — სოფელ გოგოყვათის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქეთევან გოგიტიძე, მეოთხე გვერდზე — თ. ღლონტის ჭედური კომპოზიცია „რევოლუცია“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 24/XI-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XII 70 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 123900. შეკვ. 3545. უე 02268. ფასი 30 კაპ

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება. მოწინავე მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაზი სირაბიძე.



სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორი თამარ ჯინჭარაძე

ნომრის ფოტოები მოამზადეს დ. იაკობაშვილმა და ვ. მითაიშვილმა



ն182/29